ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ქართული ფილოლოგია

თამარი ფიცხელაური

გუდამაყრის ხეობის მითოლოგიური გადმოცემები

ნაშრომი შესრულებულია ქართული ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ხვთისო მამისიმედიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

1. შესავალი 6
2. გადმოცემები გუდამაყრის ხეობაში გავრცელებული გვარების შესახებ 11
3. რელიგიური დღესასწაულები და საყოფაცხოვრებო გადმოცემები 17
4. გუდამაყრული საკულტო ტექსტები 25
   ხატების დაარსების მითოსი 25
   სადიდებლები 31
   ხატის მიერ მოვლენილი სასჯელი 39
5. დემონოლოგიური გადმოცემები 42
6. საბჭოთა პერიოდის ფოლკლორული გადმოცემები, გალექსებები, მთქმელები 50
7. დასკვნა 61
8. გამოყენებული ლიტერატურის სია 63

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია გუდამაყრის ხეობის მითოლოგიური გადმოცემების შესწავლა, მათი ტიპოლოგიური ანალიზი და მსგავსება-განსხვავების დადგენა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფოლკლორულ მასალასთან, აგრეთვე შეკრებილი და ჩაწერილი ზეპირსიტყვიერი მასალის კლასიფიკაცია.

გუდამაყრის ხეობა გამორჩეულია იმით, რომ მასში ძირძველ ქართველებთან (გუდამაყრელებთან და ხევსურებთან) ერთად, ძველი დროიდან გადმოსახლებული და ადგილობრივ გარემოსთან სრულად ადაპტირებული სხვა კავკასიელი მთიელებიც ცხოვრობენ. გუდამაყრის ხეობის ფოლკლორული გადმოცემები სწორედ ამ კულტურათა სინთეზს ასახავს. სწორედ ეს განაპირობებს მასალის სიჭრელესა და ჟანრობრივ მრავალფეროვნებას.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გამოვიყენე გუდამაყრის ხეობის ფოლკლორული შემოქმედების შესახებ როგორც ჩემს ხელთ არსებული წიგნები (ზ. კიკნაძის, ტ. მახაურის, ხ. მამისიმედიშვილის, ე. ვირსალაძის და ა.შ. ჩანაწერები), ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივში დაცული და პირადად ჩემ მიერ შეგროვებული ზეპირსიტყვიერი მასალა. მუშაობისას გამოიკვეთა რიგი სპეციფიკური ნიშან-თვისებებისა, რომლებიც მხოლოდ გუდამაყრული გადმოცემებისთვისაა დამახასიათებელი, აგრეთვე ტიპოლოგიური მსგავსებაც არა მხოლოდ ქართულ, არამედ ჩრდილოკავკასიურ ფოლკლორულ გადმოცემებთან.

ამჟამად ხეობა პრაქტიკულად დაცლილია, ამიტომ მომიწია თბილისში ჩამოსახლებულ გუდამაყრელთა სათითაოდ მონახულება, თუმცა, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩემს ნაშრომში წარმოდგენილი ზოგიერთი ტექსტი სრული სახით არ გვხვდება არც თსუ ფოლკლორის არქივსა და არც სხვა ბეჭდურ გამოცემებში.

ნაშრომის ბოლო თავში წარმოდგენილია ინფორმაცია მთქმელების შესახებ, შედარებით ახალი ფოლკლორული მასალა (გალექსებები, კაფიები და ა.შ.) რაც საჭიროებს დეტალურ კვლევას. იმედი მაქვს, ამ თემით უფრო მეტი ფოლკლორისტი დაინტერესდება და ჩემი ნაშრომი მცირეოდენ წვლილს მაინც შეიტანს გუდამაყრის ხეობის ფოლკლორის გადარჩენაში.

Annotation

The purpose of this work is to introduce us with the mythology of the Gudamakari Gorge, to examine typological similarities with the folklore material of the East Georgia and classify the existing material.

This gorge is outstanding, because it is populated not only with the ancient Georgians (natives of this gorge and Khevsurians), but also with other North Caucasian people, who are fully adapted to the local residence and environment and the folklore traditions reflect the synthesis of these cultures. This is precisely what leads to the diversity of the materials and genres.

During the Master's work I used books of outstanding scientists (Z. Kiknadze, K. Mamisimedishvili, E. Virsaladze and etc.), as well as data from the Tbilisi State University Folklore Archive and, of course, material personally collected by me. During the work appeared a number of specific features that are characteristic only for stories of Gudamakari Gorge, as well as typological similarities not only with Georgian but also with the North Caucasian folklore.

Nowadays the gorge is practically empty, so I had to visit the people, who emigrated from Gudamakari Gorge to Tbilisi. The result exceeded expectations. Some of the material, which is represented in my work is not fully found in the Folklore Archive or in books.

In the final chapter of the work, there is an information about the tradition-bearers, relatively new folklore material (poems, Kapias, etc.) which require detailed research. I hope that more scientists will get interested in this topic and my work will still contribute to the rescue of the Gudamakari gorge folklore.

შესავალი

გუდამაყარი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, რომელსაც განიხილავენ მთიულეთის ერთ-ერთ თემად. მიუხედავად ამისა, საისტორიო წყაროებში იგი მოხსენიებულია, როგორც ცალკე მხარე. ეთნოგრაფიულად გუდამაყარს ბევრი რამ აქვს საერთო მთიულეთთან, მაგრამ მაინც იგი ცალკე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. ცალკე გვიხასიათებს მას ვახუშტი ბატონიშვილიც: „და არს გუდამაყრის ჴეობა მაგარი, მოსავლით ვითარცა სხუა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქალნი მგზავსნი მთიულთა, ჴელოსანნი, მშჳლდთმოქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და დართაგან“ [ვახუშტი 1973: 354]. როგორც ჩანს, ეს ხეობა გამორჩეული უნდა ყოფილიყო იარაღის კეთებით, რადგან უფრო გვიანდელ ცნობებში ვხვდებით გუდამაყრული მაჟარის, ანუ კაჟიანი თოფის ქებასაც და 1071-1080 წლების საბუთებში ნახსენებია გუდამაყრული მუზარადიც. პაპა მჭედელი, რომელსაც მოგვიანებით გაგაცნობთ, სწორედ იარაღის მკეთებელი იყო.

გუდამაყარს საზღვარი აქვს მთიულეთთან, ხევთან, ხევსურეთთან და ფშავთან. ეს მხარე ნახსენები აქვს VII ს. სომხური გეოგრაფიის ანონიმ ავტორსაც. *„გუდამაყარი რომ ცალკე რეგიონი იყო და მთიულეთთან ერთად ერთ ერთეულს არ ქმნიდა, იქიდანაც ჩანს, რომ გუდამაყრელები არ ეყმობოდნენ საერთო მთიულურ სალოცავს - ლომისას. გუდამაყრელთა საერთო სალოცანი პირიმზე ფუძის ანგელოზი იყო“. [ღამბაშიძე, ელერდაშვილი 2018:14]* გუდამაყარს მთიულეთისა და ხევსურეთისგან გამოარჩევს ისიც, რომ მხოლოდ აქაა ,,უყმო ყმის“ ინსტიტუტი. ზეგარდის წმინდა გიორგი აფციაურების

სალოცავია, თუმცა, იგი ძლიერი სალოცავია და მას წიკლაურ-ბექაურებიც ეყმობიან როგორც ,,უყმო ყმანი“. ასეთივე ვითარებაა ჩოხის პირიმზე ფუძის ანგელოზშიც.

გუდამაყარში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელება უმტკივნეულოდ არ მომხდარა. ,,წმ. ნინოს ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: ,,...მათ არ ინებეს ნათლისღება. მაშინ მეფის ერისთავმა მცირედ წარმართა მახვილი მათზე და ძლევით შემუსრა მათი კერპები...“. ეს იყო პროცესი, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, თუმცა ქრისტიანობამ მყარად მოიკიდა ფეხი მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დასტურდება ისტორიული წყაროებითაც. არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, არამედ ჩრდილო-კავკასიაშიც კი შემორჩენილია იმ პერიოდის ქრისტიანული ძეგლები, მაგალითად დათუნატას ეკლესია დაღესტანში, ტყობა/თხაბა-ერდის ეკლესია ინგუშეთში, ჯვრები ჩეჩნურ კოშკებზე და ა.შ. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის წარმართული კვალი, რომელიც გვხვდება საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ფოლკლორულ გადმოცემებში, შედეგი უნდა იყოს ,,ოქროს ხანის“ მომდევნო მძიმე პერიოდისა, როცა მთაში ვეღარ მიდიოდნენ მღვდლები და დაიწყო ქრისტიანობის პაგანიზება. ამის დასტურია საკულტო ტექსტები, ღვთისშვილთა საკუთარი სახელები, დღესასწაულების სახელები და თარიღები. ქრისტიანული მოდელები მოექცნენ ხალხური თხრობის მოდელებში, სხვაგვარად შეუძლებელიც კი იყო. მთაში გამორიცხულია მრავალღმერთიანობა, თუ ღვთაებებად არ ჩავთვლით ღვთისშვილებს, რომელთაც ხალხი არ აღიქვამს ღვთაებებად, არამედ, როგორც სახელი ,,ღვთისშვილიდანაც“ ჩანს, ერთი ღმერთის, მორიგე ღმერთის, შვილებად მიაჩნია ისინი. ამგვარად, მთაში გამორიცხულია კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც წარმართობის დამახასიათებელი ნიშანია. ზ. კიკნაძის აზრით, იმ ქვეყანაში, რომელმაც ქრისტიანობის თხუთმეტი საუკუნე გამოიარა, ძნელი იქნება ისტორიული წარმართობის რაიმე კვალის დადასტურება (რელიგიები საქართველოში 2008:63-64) და როგორც მრავალი სხვა მეცნიერი, მეც ამ აზრს ვიზიარებ.

,,მითოსი განსაკუთრებული ტიპია აზროვნებისა, რომელიც განსხვავდება სინამდვილის მხატვრული ასახვისგან, რამდენადაც მას სურს საგნებისა და მოვლენების

იგივეობა დაინახოს და ხედავს კიდეც“ [კიკნაძე. 2009:55]. შესაბამისად, მითოლოგიური გადმოცემები ნათელს ხდის, თუ როგორიიყო ჩვენი წინაპრების რწმენა და წარმოდგენები ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

ფოლკლორული მასალების შეგროვება გუდამაყარში XIX საუკუნეში დაიწყო. საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხემ თავიდანვე მიიქცია ფოლკლორისტთა ყურადღება. გუდამაყრული ფოლკლორის ნიმუშები შესულია წიგნებში: სერგი მაკალათია, მთიულეთი (მკვლევარმა ამ წიგნში გააერთიანა ორი კუთხე – მთიულეთი და გუდამაყარი); ელენე ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება (მთიულეთ-გუდამაყარი); გუდამაყრის ხეობაში მოპოვებული ტოპონიმიკური მასალა დაბეჭდილია გიგი ხორნაულის წიგნში “მთები და სახელები”. აგრეთვე, გუდამაყრის ხეობაში ეწყობოდა ფოლკლორული ექსპედიციები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ პროფესორები: ზურაბ კიკნაძე, ტრისტან მახაური, ხვთისო მამისიმედიშვილი. აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. უნდა აღინიშნოს, რომ შეგროვილი მასალა ჟანრული თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. ხეობა მრავალ სოფელს მოიცავს, რომელთაგან უმეტესობა დღევანდელი მონაცემებით დაცლილია. ეს სოფლებია: ჩობალაური, ლიდელნი, სიჯანანი, თოთიაურნი, ნისლაურნი, ხოზა, ცუცქუნაურნი, საჩალის ჭალა, საქორე, ჭალივერნი, ქაქეენი, ათნოხი, ბუსარჭილი, ბოსელი, სალაღო, ბაკურხევი. ხოლო შემდეგ სოფლებში ზამთრობით ერთი ადამიანი მაინც რჩება და შესაბამისად, დაცლილად არ ითვლება. ეს სოფლებია: ბახანი, ფახვიჯი, თორელაანი, ლაგაზიანი, კოტორიანი, დიდებანი, წინამხარი,მაქართა, ლუთხუბი, კიტოხი, დიხჩო, გამსი და დუმაცხო.

პირველი სრულყოფილი გამოკვლევა გუდამაყრის ხეობის ფოლკლორული შემოქმედების შესახებ ეკუთვნის ელენე ვირსალაძეს. იგი წერს, რომ ახალგაზრდობა სოფელ დუმაცხოში მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა ანდაზებს, ზღაპრებსა და გამოცანებს. მეტიც, მათი მოყოლა სირცხვილადაც კი მიაჩნდათ. როგორც ჩანს, დუმაცხოში სხვადასხვა წლოვანების ადამიანებს მათი ასაკისთვის შესაფერისი რეპერტუარი უნდა ჰქონოდათ: უფროსებს - მითოლოგიური გადმოცემები, ამბები ხატებისა და სალოცავების შესახებ,

ახალგაზრდებს - ისტორიული გადმოცემები, ხოლო ბავშვებს - ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და გამოცანები. დღესაც იგივე სიტუაციაა. ძველი გადმოცემები მხოლოდ უფროსებმა იციან, ისიც ის, რაც ბავშვობაში მოუსმენიათ და დამახსოვრებიათ, ხოლო ახალგაზრდებმა - შედარებით ნაკლები. ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ამბების ჩაწერა და შეგროვება. უამრავი გადმოცემა, ლექსი თუ ანდაზა დაკარგულია და ეს ფაქტი ძალიან სამწუხაროა. საბედნიეროდ, მე გუდამაყარში გავიზარდე, ნათესაური ურთიერთობა მაქვს იქ მცხოვრებ და ბარად ჩამოსახლებულ ოჯახებთან, ამიტომ შესაძლებლობა მქონდა, რომ გუდამაყრელებისგანაც ჩამეწერა მასალები და ზოგიერთი ფოლკლორული ტექსტის ახლებური ვარიანტიც მომეძიებინა. ჩემს მიერ მოძიებული მთქმელები უშუალო მოწმენი არიან იმ რიტუალებისა, რომლებიც აღესრულებოდა გუდამაყრის ხეობაში, ისინი ისევ წინაპართა ტრადიციებს მისდევენ და იხსენებენ იმ ტექსტებს, რომლებიც ბავშვობაში ბებო-პაპებისაგან სმენიათ. შესაბამისად, მათ მიერ მოწოდებული მასალების ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს. ჩემი გამოკვლევა ეყრდნობა როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივის მასალებს, ასევე ჩემ მიერ სანდო წყაროებიდან მოპოვებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.

მართალია, გუდამაყრის ხეობა მცირე ფართობს იკავებს, მაგრამ მითოლოგიურ გადმოცემათა მრავალფეროვნებით გვაოცებს. მას გააჩნია უნიკალური ტრადიციები, რომელიც ამ არეალის გარდა არსად არ გვხვდება. სწორედ იმისთვის, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, ჩვენი ხალხური სიბრძნე არ დაიკარგოს, საჭიროა, რომ სათანადო ყურადღება დავუთმოთ მის შესწავლას. ჩემი ნაშრომიც სწორედ ამ მიზნით დაიწერა.

I თავი

გადმოცემები გუდამაყრის ხეობაში გავრცელებული გვარების შესახებ

დღევანდელი გუდამაყარი ძირითადად ხუთი გვარითაა დასახლებული. ეს გვარებია ბექაური, წიკლაური, აფციაური, ჩოხელი და ანთაური. თავის მხრივ, ეს გვარები მამიშვილობებად იყოფიან. ხალხის მახსოვრობაში დღემდეა შემონახული გადმოცემები გვართა დაარსების შესახებ.

ბექაურები და წიკლაურები, ისევე როგორც აფციაურები და ჩოხელები ძმათა განაყარ შტოებს წარმოადგენენ.

„ბექაი და წიკვაი, მე ესე გამიგონია, ძმანი ყოფილან. ბექასა ის ძმა უჩაგრავ, წიკვაი. დღეს, ხვალ, იქითა, აქეთა, ჩაგრა ძმა, ტანჯა. გამოიდა მოთმინებიდან ეს კაცი და უთხრა: „ძაღლი უნდა გავკვეთოთ შუაზე ბექაურმა და წიკლაურმა, რო ქალი გვერგოს ერთიმეორეში და ჩამოვშორდეთ ერთიმეორესა“. ძმობიდან გაიყარნენ, ბექაი ბექაურად დარჩა, წიკვაი წიკლაურად დარჩა. ჰოდა, ეხლა წიკლაური უფრო ბევრია, ვიდრე

ბექაური. არ ვი, რატომ არი ასე, მრავალი ხალხია წიკლაურები და ბექაურები ნაკლებადა ვართ“.

თსუფა №25563

ტექსტში ნახსენებმა ძაღლის გაკვეთამ შეუძლებელია არ გაგვახსენოს „გაუსურმაგების“, უწმინდური ცხოველის სისხლით საკრალური ადგილებისთვის ღვთის მადლის მოშორების მოტივი, რომელზეც მოგვიანებითაც ვისაუბრებთ. როგორც ჩანს, ნათესაური კავშირის და ძმობის დარღვევა მხოლოდ უსურმაგი ცხოველის სისხლს თუ შეეძლო. აგრეთვე, მთქმელი ბექაურების გვარის ნაკლებობას უკავშირებს იმას, რომ ბექა წიკვას სჩაგრავდა.

ბექაურთა განაყარი გვარია დიდებაშვილები. ადამ ბექაურის ცნობით *„დიდებათ ბექაურები, დიდება ბექაურის შთამომავლები არიან. მათი წინაპარი დიდება ცნობილი და გამორჩეული პიროვნება ყოფილა. რომელსაც გუდამაყარში, სოფელ გოგანაურთაში (დიდებათში) უცხოვრია. დიდება ბექაურს მრავალშვილიანი ოჯახი ჰქონია. მისი შთამომავლები კი ისე გამრავლებულან, რომ მათი შემხედვარე ასე ამბობდნენ თურმე გუდამაყარში–“ნახეთ როგორ გამრავლდნენ დიდებას შვილებიო“... დიდებათ ბექაურებიდან გამორჩეული გამორჩეული ვაჯკაცი ყოფილა ბოლონა, ანუ როგორც მას უწოდებდნენ დიდებათ ბოლონა. მას უტვირთია თავის ბიძაშვილების წინ გაძღოლა, ასევე ადგილ მამაულის დაცვისათვის მტერ–მოყვარესათვის პასუხის გაცემა. თან ხასიათიც ცოტა შარიანი ჰქონია. გუდამაყარში გამოთქმა „დიდებათი ხომ არა ხარ თვალი და ხელი რა სულ ხმალზე გიჭირავსო“ აქედან მოდის. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, მთიულეთში ნარიმანიძეების განაყრებს ნაზღაიძეებს უცხოვრიათ, რომლებიც გარიდებული ყოფილან მთიულეთიდან, რომლებსაც მამული არ ქონიათ, (უნდა ეზღოთ მამულის მისაღებად) ეს ძმები მისულან მამულის მეპატრონე არაგვის ერისთავთან და მამული თავისი წინაპრების მამული მოუთხოვიათ. რომ დაესახლებინა მემამულეს, ხოლო ძმები კი ბრძოლაში გამოადგებოდნენ სამშობლოსაც და თემსაც. მემამულეს კი ასე უთქვამს: - თქვენც რა ისე იძახით, თითქოს რაიმე შეგეძლოთ, თქვენც დიდებათ ბოლონა*

არ მოჰკლათო“ ანუ დიდებათ ბოლონას ისეთი სახელი ქონდა, როგორც ყველასგან დამოუკიდებელ და ამავე დროს მთელს იმ მხარეში შეუდარებელ ვაჟკაცს. ეს ძმებიც წამოსულან უკითხიათ როგორ უნდა ეცნოთ დიდებათ ბოლნა, ერთს უსწავლებია- „რა კითხვა გინდა, უშველებელი კაცია და ესა და ეს ფერი პაჭიჭები აცვია ფეხებზეო.“ ბიჭებიც ხატობაში მიმავალი ბოლონას მიახლოვებიან, რომელსაც ახლოს მიუშვია, რადგანაც სამტროდ თუ იქნებოდნენ მოსულნი ეს პატარა ასაკის ბიჭები გულშიც კი არ გაუვლია. ბიჭებიდან ერთ- ერთი კი ისრის მიწვდენაზე მიახლოვებია და ბოლონასთვის ისრით მკერდში სასაკვდილოდ დაუჭრია, თვითონ კი ბიჭები ქედის გადავლით მთიულეთში გადმასულან და ასე უთქვამთ ის ბოლონა მოვკალით და ახლა ხომ დაიჯერებთ, რომ ჩვენც შეგვიძლებია რაღაც და და მიწას ვიმსახურებთ წინაპართა მხარეშიო.“. [ბექაურის ბლოგი]

დღევანდელი მონაცემებით საქართველოში 3 463 ბექაური ცხოვრობს, ხოლო წიკლაური - 12 000.

ბექასა და წიკვას მსგავსად, ძმები ყოფილან აფი და ჩახიც, აფციაურთა და ჩოხელთა წინაპრები.

„რა ვიცი, ეს აფციაურები, იტყვიანკე, საიდან მოვიდა, ქისტები ყოფილან. ჰო, ორი ძმანი ყოფილან, გადმოსულან აქა და მაგათა, აი, ესეთი ის იციან, ჩვენ ხო კვირას ვინახავთ და ეგენი პარასკევს ინახვენ კვირეის მაგივრად.

გადმოსულან ი ორი ძმანი იქიდან. აქ როცა გადმოსულან, ეხლა, უნდა აი, ეხლა, როგორც ქარჩანია, ყმათ შეეწირონ აქაურ რჯულზე. მერენის, იმ ერთს ქვივნებია აფი, მეორესა ქვივნებია ჩახი, იმ ძმებს. აფციაურები, აფი რომელსაც ქვივნებია, იმაზე მოვდივართ. ჰოდა, ჩახი რომელსაც ქვივნებია, ჩოხი იმაზე მოდის. ეხლა, ამათ დაადგინეს, პარასკვევი არის იმათი უქმი, როგორც კვირეს ვერ ვიხმარებთ, აი, დღესინდელ დღეს ზოგი, თორო წინათ ვერ ვხმარობდით, ეხლა სუყველა ხმარობს. უთქომ ამ ძმებს, რო როცაო ჩვენი შვილისშვილის შვილი გაჩნდებაო, ამ პარასკევსაო ეს უქმი დავკარგეთ ჩვენიო. ეს როგორ გადავაკეთოთო, ასე გადავაკეთოთო. მაიფიქრეს

იმათო, რო პარასკევს აფციაური და ჩოხელი ვერ ნათლავს თეთრი ხარით. პარასკევსა ჩვენი შვილიშვილიო ერთმანეთშიო ქალ დაუწყებენ თხოვნასაო.

ჩვენ, ეხლა, არ შაგვიძლია, რო ჩოხელმა აფციაური ქალი ითხოვოს, აფციაურმა ჩოხელი ქალი ითხოვოს (ეხლა კი თხოულობენ). ჰოდა, მოვდივართ იმაზედა".

თსუფა №25564

1981 წელს ჩაწერილ ამ ანდრეზში ვიგებთ, რომ აფციაურებისა და ჩოხელების წინაპრები ქისტები ყოფილან. ამით აიხსნება ისიც, რომ ისინი პარასკევ დღეს უქმად ინახავენ. აფციაურების გვარი შემდეგ უფრო გამრავლებულა. ხევსურეთიდან შატილიონი ჯალაბაური გადმოიხვეწა და აფციაურის გვარზე შემოდგა ფიცით. აგრეთვე, მოხევე ავშაჯანიაური, გორისციხელი, რომელიც მოსისხლეებს გამოერიდა. აფციაური საკმაოდ ძლიერი და რიცხვმრავალი გვარი უნდა ყოფილიყო, რომელსაც შეეძლო მათი დაცვა მოსისხლეებისაგან. აფციაურთა არა მარტო კაცები, არამედ ქალებიც გამოირჩეოდნენ მებრძოლი ხასიათით. ამას გვიდასტურებს გადმოცემაც იამზე აფციაურზე.

ამ გადმოცემის მოპოვებას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რადგან იგი თითქმის აღარავის ახსოვდა. ხოლო ვისაც ახსოვდა, უარს ამბობდა მოყოლაზე. საბოლოოდ, ბარში ჩამოსახლებული, 84 წლის ივანე აფციაური დამთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ გვარებს არ ჩავწერდი ტექსტში, რადგან ამ გვარებს შორის მტრობა დღევანდელ დღემდეც კი გრძელდება.

,,მტრობა ჰქონიათ აფციაურებს და ხევსურებს. შემოსევიან დუმაცხოს, გაუწყვეტნიათ დედა-წულიანად. დაუტოვებიათ მარტო ორსული ქალი. ისიც იმიტო, რო ისეთი გვარისა ყოფილა, შინებიათ იმ კაცისა. ის კაცი მოვიდა სოფელში თავისი ქალის წასაყვანად, რახან ქმარი აღარ ჰყავდა და ვაკე რომ უნდა გამოევლოთ, ქალმა არ გამოიარა, შვიდი თვის სიწმინდე მამდევს და ხატის ადგილს ვერ დავლახავ ფეხითო. მიმხვდარა მამა, რომ ორსულად იყო, შებრუნებულა და სოფლისთვის შეუძახია ამ ქალს თუ ვაჟი ეყოლა, თავის ადგილ-მამული შაუნახეთ, უწილოდ არ დატოვოთო და დაუტოვებია. ეყოლა ბიჭი ამ ქალს, აფციაური. დავაჟკაცდა, მაიყვანა ცოლი. შვიდი ვაჟი გაუჩინა იმ ქალმა და

ნაბოლარა ქალი - იამზე. ამ ბიჭმა ხო იცის, ვინც მოუკლა მამა, მაგრამ სანამ ნაბოლარა ბიჭი არ შევიდა ხანში, არაფერი არ უთხრა. სანამ ის გაიზრდებოდა, შაშინდნენ ხევსურები. შვიდი ვაჟი ეზრდებათ აფციაურებს, სისხლის აღებას მაინდომებენო და მოუნდათ შარიგება. მოსტაცეს ამ შვიდ ძმას ნაბოლარა და, ცოლად შართეს თავისიანს. დიდხანს ეხვეწებოდენ შერიგებას, მაგრამ მამა არ თანხმდებოდა. იმ ქალმა შვილებიც დაუჩინა ხევსურს. ბოლოს დაჰყაბულდა მამაც, ოღონდ შვილები გააფრთხილა, სანამ სამჯერ არ შაგიპატიჟებენ სახლში, ფეხი არ შასდგათო. ჩავიდნენ იქა, იმ ხევსურებთან. მესამე შეპატიჟებაზე შევიდნენ. იარაღი აიყარეს და დას მისცეს. ამ ქალმა, თავის ქმრის და მაზლების ხმალ-ხანჯარი კიდობანში ჩასდვა, შიგათი, ძმებისა კიდე კარსგარე მიაყუდა. შაატყო ხევსურებს, რომ ამის ძმების დახოცვა უნდოდათ. მართლაც, დალიეს ატყდა შარი და მოიკითხეს იარაღი. იამზემ ძმებს მიაწოდა და მაგის ქმარი და მაზლები ამოწყვიტეს, ხევსურისაგან გაჩენილ შვილებსაც თავები დასჭრეს. დაჯდა მერე ეს ქალი და იტირა

გიორგწმინდასა ზიანი,

ქალმა მენა ვქენ იამა,

არცარა კარგი თავს ვუყავ,

გულო, შენ მაინც გიამა“

(მთქმელი: ივანე აფციაური, 84 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. თბილისი, 2017 წ).

ამ გადმოცემაში ნათლად ჩანს, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ქალს მამის სახლის მიმართ. მან საკუთარი შვილებიც კი გაწირა სასიკვდილოდ თავისი ძმების გადასარჩენად. ჩვენ შეგვიძლია პარალელიც კი გავავლოთ ამ ტრაგიკულ ისტორიასა და კოლხ მედეას შორის. გარდა ამისა, საინტერესოა ამ ამბის მსგავსება საგინა გიორგწმინდელის ამბავთანაც, რომელიც ჯალაბაურების გვარს და მათ გაწყვეტას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ იმ ხევსურების გვარი არ ვიცით, რომელთა გაწყვეტასაც იამზე აფციაურმა შეუწყო ხელი, მსგავსება მათსა და ჯალაბაურების გვარს

შორის აშკარაა. ამ ვარაუდს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ დუმაცხოში ერთ-ერთ მამიშვილობას სწორედ ჯალაბაურთა შთამომავლებს უწოდებენ.

აფციაურები იხსენიებიან ბახტრიონის აჯანყების დროსაც, 1659 წელს, სადაც გამოჩენილი გმირობისათვის პაპი და გივი ჯალაბაურთ აფციაურებმა გუდამაყრის ნაცვლობა მოიპოვეს. თავად სოფელ დუმაცხოს მამასახლისი ყოფილა აფციაური შიო, ხოლო წინამხრისა - აფციაური ჯალაბა. აფციაურები 1795 წელს მეფე ერეკლეს მხარდამხარ იდგნენ კრწანისის ველზე. 300 არაგველის მედროშეც ნინია აფციაური ყოფილა. ეს ცნობა ზეპირი გზით გადმოეცემოდა თაობიდან თაობას და მისი სახელი დღემდე შემორჩა ხალხის მახსოვრობას. აფციაურებს განაყარი გვარებიც ჰყავთ, როგორიცაა ფსუტური, ჯაბაური და ა.შ. დღესდღეისობით საქართველოში აფციაურთა რიცხვი ხუთიათასს აჭარბებს.

ჩოხლების გვარს არაერთი საინტერესო გადმოცემა უკავშირდება. მაგალითად:

„წმინდა გიორგი რო დაიშალა, ჩოხლებს შახვდათ ენის ნაწილი. იმიტო არი „ენის გამყოლსაო“ ლოცვაში ეგრე მოდის. ღორს დაუცია იმ ენისად პირი და უფრო იმიტო არა ვჭამთ ღორის ხორცს. ენის ნაწილი რო შაგვხვდა, მოლაპარაკენიც ვართ. იმიტო არ უნდა ჩავარდეს კაცი ჩოხლების ყბაში...“

(მთქმელი: ემზარ ჩოხელი 49 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. თბილისი, 2018 წ)

ჩოხლები რომ პრივილეგირებული გვარი იყო გუდამაყრის ხეობაში, ამას ადასტურებს ის გავრცელებული შეხედულებაც, რომ თუ ამ გვარის ყმა ქალის სათხოვნელად მივა, კოჭლიც რომ იყოს, ან ბრმა, მაინც ვერ დაუჭერენ და აუცილებლად გაატანენ.

„გაიღიმე, ჩოხელოო,

რო სიკეთე მოჰხელოო...“

ანთაურთა გვარი მცირერიცხოვანია. ბოლო მონაცემებით, საქართველოში სულ 100 ანთაური ცხოვრობს.

დანარჩენი გვარები, რომლებიც გუდამაყარში შეგვხვდება, ამ ხუთი ძირითადი გვარის განაყრებს, ძმათაშვილებს წარმოადგენენ. როგორც ვხედავთ, მიუხედავად საერთო ძირებისა, ამ ხეობაში მრავლად არიან შემოკედლებული მამიშვილობებიც. მათ უმრავლესობას საკუთარი ფესვები ახსოვს და მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეებია, რაც გუდამაყარში ცხოვრობენ, არც საკუთარ ტრადიციებს ივიწყებენ.

II თავი

რელიგიური დღესასწაულები და საყოფაცხოვრებო გადმოცემები

მთიელთა ყოფასა და ცხოვრებას ყოველთვის თან ახლავს უძველესი რიტუალები თუ ტრადიციები. მათი ყოველდღიურობა იმეორებს წინაპრების ცხოვრებას და თითქმის საკრალურ დროში მიმდინარეობს. მითოლოგიური დრო განსხვავდება ისტორიული დროისგან. როგორც მ. ელიადე აღნიშნავს თავის ,,მარადიული დაბრუნების მითში“ ,,დრო შეიძლება გაუქმდეს“ და როდესაც ვესწრებით მთიელთა დღესასწაულებსა თუ რიტუალებს, სწორედ მაშინ შევიგრძნობთ ,,გაუქმებული დროის“ მთელ სიდიადეს.

“რიტუალი ის არხია, რომლის საშუალებითაც ადამიანი არა მხოლოდ იხსენებს მითს, არამედ უკან აბრუნებს მითში გადმოცემულ ამბავს, მითოსურ დროს. ეს იმას ნიშნავს, რომ რიტუალის მონაწილენი და მთელი საზოგადოება იმყოფებიან არ ამ ისტორიულ ქრონოლოგიურ დროში, არამედ ზებუნებრივ არსებათა დროში, “მას ჟამს”, როცა ყველაფერი პირველად იქმნებოდა და ყველა მოვლენა პირველად ხდებოდა. ამიტომაც ეს დრო სიწმიდით არის მოსილი” [კიკნაძე 2008:13].

თავად ხეობაში მოსახლეობა თითქმის აღარ ცხოვრობს, თუმცა ბარში ჩამოსახლებული გუდამაყრელები, დედაჩემისა და მისი ძმის ჩათვლით, ცდილობენ დაიცვან ეს ტრადიციები და მომავალ თაობებსაც გადასცენ ისინი. სწორედ მათი დამსახურებაა, თუ რამე ვიცი ძველი ჩვეულებების შესახებ.

გუდამაყრელთა ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენაა ხატობა, დღესასწაული. იგი სულ რამდენიმეა და მისთვის ხალხი მთელი წელი ემზადება და განსაკუთრებულად აღნიშნავს. სალოცავებს ემსახურებიან დეკანოზი[1] და ორი დასტური. დეკანოზი მუდმივია, ხოლო დასტურები ყოველ წელიწადს აღდგომას იცვლებიან. მათი არჩევა ხდება კენჭისყრით. ვინც იმ წელს უკვე მოიხადა დასტურობის ვალი, მისი წილი აღარ მონაწილეობს კენჭისყრაში. დასტურობაზე უარის თქმა დაუშვებელია. ასევე ის, ვინც დასტურად შედგება, მთელი წლის მანძილზე არ ეკარება ქალს. ადრე კი დედათა წესის მქონე ცოლი არც დაელაპარაკებოდა, არც წყალს დაუსხამდა და არც საჭმელს მიაწოდებდა ქმარს. ახლად მოლოგინებული ქალის ქმარი შვიდი კვირის მანძილზე არ ეკარებოდა არც ბავშვს და არც დედას. აგრეთვე, არც ბავშვი გაჰყავდათ შვიდ კვირამდე გარეთ და არც სხვა მიდიოდა მის სანახავად. დასტურს ასევე მთელი წლის განმავლობაში ეკრძალება ფრინველის ხორცის, კვერცხის, ღორის ხორცის ჭამა. ხელსაც ამ მოკიდებს ზემოთ ჩამოთვლილს. ამ წესებს დღესაც მკაცრად იცავენ დასტურად არჩეული მამაკაცები. სახლიდან სალოცავში წასვლამდე დასტური გაიბანებოდა, ხოლო სალოცავში მისვლამდე კიდევ გზად შემხვედრ წყალში, თუმცა ეს წესი დღეს ნაწილობრივ მოშლილია, დასტურები მხოლოდ სახლშიღა ბანაობენ.

[1] გუდამაყარში ხატის მსახურს, ხევისბერს დეკანოზს ეძახიან.

ზეგარდობა აღინიშნება აღდგომიდან 103-ე დღეს, ხუთშაბათს. ამ დღესასწაულისათვის სოფელში (დუმაცხოში) აუცილებლად ადუღებენ ლუდს. ამისათვის საჭიროა სვე და ფორი (გაღვივებული ხორბალი). ხატში ინახება პინა, რომლითაც იწონება ლუდის ასადუღებლად საჭირო ფორი. ხევისბერს და დასტურს აღდგომიდან 38-ე დღეს, სამშაბათს, გუდამაყრის იმ სოფლებში, სადაც აფციაურები ცხოვრობენ (ლუთხუბი, წინამხარი) დააქვთ ეს პინა. თითოეული ოჯახი ვალდებულია, გაიღოს იმდენი ფორი, რამდენსაც აურწყავს ხევისბერი. ზეგარდობის დღესასწაულზე მლოცავი ადის სალოცავთან, იკვლება საკლავი, ინთება სანთელი.

სამღვთომაღლობა წინ უსწრებს ზეგარდობას და აღინიშნება მის წინა შაბათს. გუდამაყრის ყველა სოფელში ღვთისმშობლის სალოცავი დგას სასაფლაოსთან ახლოს, მასში ნებისმიერ დროს შეუძლია ხალხს მისვლა. როგორც წესი, იქ პირველმოგებულ ხბოს კლავდნენ. შემორჩენილია გადმოცემაც, რომ ადრე აქ პირველ ბავშვებსაც კი კლავდნენ. ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად ეს წესიც მოიშალა, თუმცა წარმართული ჩვეულებები ქრისტიანულ ტრადიციებთან ერთადაც აგრძელებენ არსებობას.

ახოობა ზეგარდობის შემდეგ მოდის. იგი სათემო დღესასწაულია, რადგანაც პირიმზე-ფუძის ანგელოზი დუმაცხოში ხევსურეთიდან, სოფელ უკანახოდანაა მობრძანებული, მლოცავი დუმაცხოდან უკანახოში ფეხით მიდის, მიაბრძანებენ დროშას და იქ იმართება ხატობა. ლუდის ხარშვა ამ დღესასწაულზე შარვანიანთა ჩამომავლობას ევალებათ. ხატობის ბოლოს იმართება „ქვაბის წართმევის“ ცერემონიალი. თუ იგი ისევ შარვანიანთ დარჩებათ, ის წელი წარმატებული ექნებათ.

ბრწყინვალე შვიდეულის დიდ ხუთშაბათს აუცილებლად მოჰქონდათ ქალებს ,,უმძრახი წყალი“. არც ოჯახში დაილაპარაკებდა, არც გამვლელს, ვინც არ უნდა შეხვედროდა. ღამიანად მიდიოდნენ წყაროზე და მოჰქონდათ წყალი, რომლითაც იბანდნენ. სჯეროდათ, რომ ვინც უმძრახი წყლით დაიბანდა თავს, მთელი წელი თავი არ

ასტკივდებოდა. ამ დღეს არ შეიძლებოდა ფულის, პროდუქტის გაცემა, რადგან ითვლებოდა, რომ ბარაქა გავიდოდა ოჯახიდან.

აღდგომა დღეს, კვირას, აუცილებლად კაცები მიდიოდნენ სალოცავში. ორშაბათს კი გადიოდნენ საფლავებზე. გაუგორებდნენ წითელ კვერცხს და იშლებოდა სუფრა.

თხილობის ღამე, იგივე აღების ღამე შობის წინა ღამეს აღინიშნება. ამ დღისთვის ყველა ოჯახი ცდილობდა რაც შეიძლებოდა მეტი თხილი და კაკალი მოეგროვებინა და დაემტვრია. გადმოცემის მიხედვით, იესო ქრისტე მდევრებს თხილის ნაჭუჭში დაემალაო და ამიტომ ცდილობდნენ ბევრი ნაჭუჭის მოგროვებას. რადგან ეს დღე მარხვა იყო, იხარშებოდა კარტოფილის ხინკალი, აგრეთვე ნივრის ხინკალი, რომელსაც ,,წიპწურეებს“ ეძახდნენ. ოჯახის უფროსში გუდაში ჩაალაგებდა ცოტ-ცოტა ყველაფერს და აჰქონდა ხატში შესაწირად. იქ დალოცავდნენ ოჯახს, დაამწყალობნებდნენ, გაშლიდნენ საერთო სუფრას და ერთად აღნიშნავდნენ შობის დადგომას.

ახალი წელი გუდამაყარშიში დღემდე ძველი სტილით აღინიშნება. წინა ღამით მამაკაცები ადიოდნენ სალოცავში და მიჰქონდათ გულიანი ქადა, სასმელი. ერთი ოჯახის სანთელი და რამდენი მამაკაციც იყო ოჯახში იმდენი თითის წვერებიდან იდაყვამდე სიგრძის სანთელი. ამ სანთლებს ჩაამწკრივებდნენ თოვლში, სალოცავთან და აანთებდნენ, მიეპარებოდნენ დეკანოზს და თოვლში გააყირავებდნენ, თავადაც თოვლში ამოიგანგლებოდნენ. შემდეგ ხევისბერი დალოცავდა ყველას, გასერავდა ქადებს, დალოცავდა ორი-სამი ჭიქით და ბრუნდებოდნენ სახლში, თოვლიანები, კარებში აუცილებლად ჩამოიბერტყავდნენ თოვლს და ოჯახს მიულოცავდნენ ახალ წელს. დილით დიასახლისი იღვიძებდა უთენია, მოხარშავდა ხინკალს, მაგიდაზე დააწყობდა თუ რამე ტკბილი ჰქონდათ. აუცილებლად უნდა ყოფილიყო თაფლიანი ჯამი, თხილი და კაკალი. ხილი, თუ მოეძევებოდათ. მეკვლეს ყოველთვის დილით ეპატიჟებოდნენ, დაძახება არ შეიძლებოდა და ან ფანჯარას კენჭს ესროდნენ, ან რამით ანიშნებდნენ, რომ სახლში წამოჰყოლოდათ. ცეცხლში ჩააგდებდნენ ხის ძელს, თუ იგი ნაპერწკლებს გაჰყრიდა, ეს ცუდი ნიშანი იყო, ხოლო თუ სუფთად დაიწვებოდა - კარგი. ღამით კი,

ქალები გამოდიოდნენ გარეთ, მარხილებზე სხდებოდნენ და ქანაობდნენ, მხიარულობდნენ

ბედობა დილით არ შეიძლებოდა ცოცხის გამოჩენა, ამიტომ დიასახლისი ცოცხს მალავდა. აგრეთვე არ შეიძლებოდა სახლის დაგვა - ნათესებს ქარი წაიღებო, წყლის დაქცევა - ჭიანჭველები დაესეოდა სახლს, ან იმდენი ცრემლი დაიღვრებოდა, რამდენი წვეთი წყალიც დაიღვარა, არ უნდა გატეხოდათ ჭურჭელი - მთელი წელი დაგვებედება ჭურჭლის დამტვრევაო. ზოგადად, ცდილობდნენ ბედობა დღე კარგად გაეტარებინათ, რათა მთელი წელი ასეთივე ჰქონოდათ. ფურნეში აცხობდნენ ბედის კვერებს თითოეული ოჯახის წევრის სახელზე. ყველა კვერს ჯვრის ნიშანს ადებდნენ. ვისი კვერიც უფრო გაფუვდებოდა და ცხობისას გადასკდებოდა, მას უფრო კარგი წელი ექნებოდა და გაიხარებდა. ბედისკვერი ცხვებოდა ძროხებისა და ცხვრებისთვისაც კი.

წყალკურთხევა დილით აუცილებლად კეთდებოდა ხინკალი, ცხვებოდა გულიანი ქადა. სუფრაზე აუცილებლად იყო ტკბილი, კაკალი და თხილი, ჟიპიტაურის არაყი და მთელი სოფელი დილით, გათენებამდე სოფლის წყალზე იყრიდა თავს. დაანთებდნენ სანთლებს, თოვლზე დაღვრიდნენ წყალს მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად, დაილოცებოდნენ ორი-სამი ჭიქით და ბრუნდებოდნენ სოფელში.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრი ისეთი წვრილმანი ტრადიციაა, რომელიც გუდამაყრელებს დღემდე ახსოვს და წესებს გულმოდგინედაც იცავენ. მაგალითად:

დედიძმა (ასე ეძახიან გუდამაყარში დედის ძმას, სხვა ბიძებისაგან განსხვავებით) არასოდეს არ გავა სათიბში პარასკევ დღეს ისევე, როგორც დანარჩენი აფციაურები და ჩოხლები. მთაში და, განსაკუთრებით, დუმაცხოში დედის ძმები განსაკუთრებით საყვარლები არიან დისწულებისთვის.

,,დისწული დედიძმათასა

სკამს უკითხავად დაჯდება,

ეს რომ დედიძმას ეწყინოს,

ის სკამი ოხრად დარჩება“

(მთქმელი: ზურაბ აფციაური, 60 წლის

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. დუმაცხო, 2016 წ).

დედაჩემი განსაკუთრებული საჭმლის (ხინკალი, ქადები) გაკეთებისას ყოველთვის შენდობას ეუბნება მიცვალებულებს. შაბათ-კვირას ხელში არ აიღებს მაკრატელსა და ნემსს. განსაკუთრებით შაბათის ღამე ყოფილა მძიმე უქმი, მის პატარაობაში წიგნის კითხვასაც კი უშლიდნენ ამ დღეს ,,მზის ნაგრილის“ ჩამოდგომიდან კვირა შუადღემდე. ჩემს ბავშვობაში ,,მზეთუკან“ არ დამაჭრევინებდა ფრჩხილებს, აღარ გაიზრდებიო და ა.შ.

არ შეიძლებოდა არც ორშაბათ დღეს ქალისთვის თმის დაბანა.

„ორშაბათსა ძალსაო

ქალი იბანს თავსაო

ან მოვუკლავ ქმარსაო

ან საყვარელ ძმასაო“

(მთქმელი: ნაზი აფციაური, 58 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. თბილისი. 2017 წ.).

მეზობლებს თუ ჰყავდათ ერთ თვეში დაბადებულ ბავშვები, მათ ეძახდნენ ,,მეთვეურ“ ბავშვებს. მათი ახლობლები ერიდებოდნენ 7 კვირამდე ერთმანეთთან მისვლას, რათა ცუდი კვალი არ მიეტანათ. ყოფილა შემთხვევა, რომ ოჯახები ერთმანეთს დამდურებიან ამის გამო.

გუდამაყრელები ბევრ უქმე დღეს აღნიშნავენ, რომელთაგან თითოეულს თავისი ფუნქცია და დანიშნულება აქვს.

ქარ-სეტყვის უქმე მოძრავი დღე იყო და აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის დასაწყისამდე აღინიშნებოდა. ამ დღეს არ შეიძლებოდა ნებისმიერი ხელსაქმე, რადგან ითვლებოდა, რომ ქარი ამოვარდებოდა და მოსახლეობას ნათესებს, სათიბებსა და ნახნავებს დაუზიანებდა. თაგვ-ჩიტთ უქმე აღინიშნებოდა ოთხშაბათს, ჭიაკოკონობა დღეს. ბავშვები აიღებდნენ ჯოხს, წვერს გაუპობდნენ შუაზე, შიგნით ჩატენიდნენ ერთ ბღუჯა თივას ან ჩალას, სახლის ყველა კუთხეში დაივლიდნენ და იძახდნენ:

,,გამო, თაგვო, გამო, რწყილო,

ანგელოზო, შინ დაბრუნდი!“

(მთქმელი: ეთერი წიკლაური. 55 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. ჟინვალი. 2017 წ.)

ხელსაქმე არც ფერისცვალება დღეს შეიძლებოდა, ნათქვამია:

,,ფერისცვალება დღესაო

ქარი არ არხევს ხესაო“

(მთქმელი: ქეთევან ჩოხელი. 57 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. დუმაცხო. 2016 წ.).

გუდამაყარში ამინდის გამოცნობის თავისებური ხერხები ჰქონდათ. ერთ-ერთ მთას, რომელიც სოფელ დუმაცხოს წინაა აღმართული, ,,ჩაჭრილას“ ეძახდნენ. მას თუ ნისლი მოეხვეოდა, აუცილებლად იწვიმებსო. აგრეთვე, მერცხლები თუ დაბლა დაფრინავდნენ, იწვიმებდა. კვამლი თუ დაბლა დაეშვებოდა, ჰაერი დამძიმდა და იწვიმებსო, ხოლო თუ მაღლა წავიდოდა სვეტებად - დარი იქნებაო. კატა თუ პირს იბანდა, დარს ელოდებოდნენ. თუ საღამოს იწვიმებდა, მაშინ იტყოდნენ:

,,ღამე წითო - დილა მზითო,

დილა წითო - ღამე წვიმსო“

(მთქმელი: ქეთევან ჩოხელი, 57 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. დუმაცხო. 2016 წ.).

თუ ოჯახს საქონელი დარჩებოდა გარეთ, ნადირს რომ არ შეეჭამა დიასახლისი სავარცხელზე დაახვევდა ბევრ ძაფს. სავარცხლის კბილების შეკვრით მიიჩნეოდა, რომ მგელსა და დათვს უკრავდნენ კბილებს და ის მათ საქონელს ვეღარაფერს ავნებდა.

ბავშვებში გავრცელებული იყო ანდაზები, გამოცანები. მაგალითად:

,,ავხადე სიპრიპელასა,

ჩავხედე გულყვითელასა“

(ერბო)

(ვირსალაძე 1958:283)

ჩემი თოკი, თოკბაწარი,

საცა გავკარ, იქ გაუწვდენს.

(თვალები)

(ვირსალაძე. 1958:287)

თავი III

გუდამაყრული საკულტო ტექსტები

ხატების დაარსების მითოსი

გუდამაყრის მთავარი სალოცავებია: ზეგარდის წმინდა გიორგი, სამღვთომაღალი და ჩოხის პირიმზე-ფუძის ანგელოზი. ხუცესები, დასტურები და დეკანოზები აქ ყოველ წელს აღავლენენ ლოცვას, ადიდებენ ჯვარ-ხატებს და წესისამებრ ატარებენ რიტუალებს.

გუდამაყრული გადმოცემები ჯვარ-ხატთა დაარსების შესახებ ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში ჩაწერილ გადმოცემებთან. ჯვარჩენა - „ჰიეროფანია“ ხდება მტრედის, ჯვრის, ოქროს სახით. ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული სალოცავის დაარსების გადმოცემა.

გადმოცემები ზეგარდის წმინდა გიორგის დაარსების შესახებ ჩაწერილი აქვთ ელენე ვირსალაძეს, ზურაბ კიკნაძეს, ხვთისო მამისიმედიშვილს. ვარიანტების უმრავლესობა იწყება ქარჩაიძის მიერ მტრედის ნაფოტით აშენებული ეკლესიის ხილვით:

„ჰოდა, იმას უთლია ხეები, იმ ხელოსანსა, ქარჩაიძე ყოფილა. ერთხელ მოფრინდა მტრედი, მეორედ, მესამედა და ემ კაცს გული რო შეუწუხდა და წავიდა მერე, მიჰყვა ამ მტრედსა და აქ ასულა მაღლა, აიმ ტყეში. გადაუფარებია ის ნაფოტები. მერე ეს კაცი... რაღაცა მოუაზრებია და აუშენებია ეკლესია ამ კაცსა. მერე წავიდა აიქ, მთიულეთში, თავის სახლში, უთხრა, რო ესეო, ეკლესია ავაშენე გუდამაყარშიაო და ფული გამოვართო თუ ცხვარი იყოს, თუ ხარიო. მერე ერთ ქალს ეთქვა, სამი დღის მოყვანილი პატარძალი ყოფილა, იყოსო სამწყალობნადაო, ჩვენი საკლავი დაიკლას პირველადაო. აი, ეგრე დარჩა ეგ ამბავი.“

თსუფა №25547

თუმცა, ჩემ მიერ 2017 წელს ზურაბ აფციაურისგან ჩაწერილ ტექსტში ვხვდებით განსხვავებულ ნაწილს. კერძოდ:

,,ქისტი ყოფილა სოფელში მოსული, ჩვენთანა. ჰოდა ხარები ჰყოლია, ჯარავანი სოფლის წინ, საჯარეებზე, იმათ სდგომია. ეს კაცი გადავიდა იქითა და აი, საცა ეკლესიაა, მაგის დაბლა დაინახა რომ სამი კაცი წევს იარაღიანი. გამაიქცა იქიდან, ჩამოიდა სოფელში და შაატყობინა რო ესე ესეა, სამი კაცია ყაჩაღები, იქა წვანან და დაღამებას ელოდებიან რო დეეცნენ სოფელს და ააწიოკონ, და რა ვქნათ. აიკრიბა სოფელი, ხალხი ცხოვრობდა მაშინა. წმინდა გიორგის ეთქვა სოფლისთვის რომა, მენაო მაშინ ვიყავ წმინდა გიორგიო რო საკლავი ბანი-ბან მამდიოდაო და კალმახნი ბოლოს მაქექდნენო. წყალი პატარა იყო მაშინ, ბიძაჩემმა იცოდა რო სვილა ბალახაი გავდვით კეო არაგვზე. ავიდა სოფელი, მიეპარა, ნახეს და სამი კაცია სძინია. უთხრეს ამ ქისტსა, რომ თუ დაჭყოც ამათ შენა ადგილ-მამულსაც მოგცემთ დუმაცხოსა, ქალსაც შაგრთავთ. ადგა და დახოცა ამ ქისტმა ესეები, არვი ლეკები იყვნენ თუ ქისტები და აგე ახლა ასპანიანი რომ ცხოვრობენ, გამოუყვეს იქ ადგილი და დაასახლეს, ქალიც შართეს. ასპანიანი ქისტები არიან. მემრე იმის შთამომავალმა ტყეში ნახა რო მტრედი აშენებს ნაფოტებით რაღაცას იქა, ეკლესიის ფორმისას, საცა ეხლა ეკლესიაა ზეგარდისა.“

საინტერესოა ფრაგმენტი: ,,*მენაო მაშინ ვიყავ წმინდა გიორგიო რო საკლავი ბანი-ბან მამდიოდაო და კალმახნი ბოლოს მაქექდნენო“.* ამ ფრაზაში ჩანს, რომ ოდესღაც იმდენი ოჯახი ყოფილა დუმაცხოში, რომ საკლავები აღარ ეტეოდა სოფელში და ბანებზე გადადიოდნენ. მსგავსი ფრაზა პატარაობაში მეც გამიგია დედისგან, ნაზიკო აფციაურისგან. ხშირად ამბობდა, რომ ბავშვობაში იმდენი ხალხი იყო სოფელში, იმდენი სახლი, რომ ბანებით ერთმანეთზე იყო გადაბმული სახლები და გზაზე გავლა აღარც გვიწევდა, ბანდაბან დავდიოდით ერთმანეთთანო. არაგვიც ისეთი პატარა ყოფილა, რომ სვილა ბალახის გადებაც კი შეიძლებოდა ერთი ნაპირიდან მეორეზე.

ამ ნაწილში ირკვევა, რომ ის კაცი, ვინც მტრედის მიერ აშენებული ნაფოტის ეკლესია ნახა ტყეში, ქისტების შთამომავალი იყო, ტექსტში მოხსენიებული ასპანიანები

დღესაც ცხოვრობენ გუდამაყარში. თუმცა, ისევე როგორც სხვა მამიშვილობებს (მაგ: გიორგათ მამიშვილობას), მათაც ახსოვთ საკუთარი წარმომავლობა. სავარაუდოდ, იგი ქისტეთიდან მოშუღლეებს გამოექცა და, როგორც ტექსტიდან ჩანს, მხოლოდ საკუთარი ერთგულების დამტკიცების შემდეგ მოიპოვა გუდამაყარში ცხოვრების უფლება. იგი თანასწორუფლებიანი წევრი იყო საყმოსი. ასპანიანთ მამიშვილობიდან შემორჩენილია ანდრეზი დეკანოზ ფაცხვერაზე, რომელიც იმდენად წმინდა იყო, რომ ჰაერშიც კი დაფრინავდა და წმინდა გიორგის იგი იმდენად ჰყვარებია, რომ დაბერებისა და დაუძლურების მერეც დიდხანს უმსახურია:

„ფაცხვერა თურმე ფრენილა დროშით ხელში საღვთო მაღალის წვერიდან იმ ადგილამდე, სადაც ახლა ხატობა იმართება. ზეგარდობის დღეობა რომ მთავრდებოდა, ხატიდან ჩამომავალს დაუძახნია ხატისთვის: `დამითხოვე, წმიდა გიორგიო, აღარა ვარ შენი საფერ-საკადრისიო!“ ვიღაცამ მომაძახაო: `ეგრე შაგწყინდიო, ჩემო ბერ-ყუნჭოო?“ ამის მერე კიდევ სამი წელი უბრძანებია დროშა ფაცხვერას. ფაცხვერა კომად ასპანიანი ყოფილა, ქისტის წარმოშობის. ასპანიანები აფციაურებს შეკედლებიან და აფციაურად დაწერილან.“

თსუფა №25536

ზოგადად, ქისტეთიდან გადმოხვეწილი გვარების ისტორიები საკმაოდ მრავლად მოიპოვება გუდამაყრის ხეობაში, რაც ამტკიცებს ორ ერს შორის მჭიდრო კავშირს.

როგორც პირიმზის დაარსების ანდრეზი მოგვითხრობს, იგი ახალციხიდან მობრძანებულია იმ დროს, როცა თათართან ჰქონდათ ბრძოლა ქართველებს. ახალციხიდან ტყვეები წამოუყვანიათ და ხატიც წამოუღიათ. *„ხატის რა ნიშანი იქნებოდა, როგორი იქნებოდა, ჯვარი იქნებოდა ოქროსი... ესე გაგონილი კი მაქ, რო იქიდან რო წამოუბრძანებიათ, როგორც ცოცხალი, როგორც ოქრო, ეგეთი იყოო...მათრახს იქნევდაო“*[ანდრეზები 2009:283].

მტრედი და ოქრო, ისევე როგორც ირემი, მზე, რძე - ქართულ მითოლოგიაში ღვთაებრივი, ზეციური ნიშანია. მტრედის სახით ამოდის აბუდელაურის ტბიდან იახსარი - დევ-კერპებთან მებრძოლი.

"შამოვჯე ბროლის ქვაზედა,

შამოიბერტყენ მხარნია,

ტრედივით შამოვღუღუნდი,

მთაბარს მუავლე თვალია.

ფშავისაკ გამუემართე

მენ ხატი იახსარია"

[ქართული ხალხური პოეზია 1992:11]

მტრედის სახით ეჩვენება ანატორის ჯვარი გახუა მეგრელაურსაც. იმავე მოტივს ვხვდებით გუდანის, კარატის, კისტნის ჯვრების დაარსების ანდრეზშიც. პირიმზე სოფელში მოსვლის შემდეგ შებრძოლებია დევებს, ამოუწყვეტია და ჩამდგარა მათ ნასახლარში.

ერთ ძროხას ხბო მოუგია იმ ადგილზე, ხბო ვერ აუყენებიათ. ძროხა უკანახოდან ყოფილა, ხევსურეთიდან. მოხუც კაცს ურჩევია, რომ ფუძის ანგელოზისთვის დაეყენებინათ ხბო. ასეც მოქცეეულან, იმ ფუძის ანგელოზისა იყოს, ვისიც ის ფუძეაო. ხბო თავისი ნებით ადგა, გაჰყვა დედას და როცა დრო მოუვიდა, მივიდა და დადგა იმ ფუძეში. იქვე დაკლეს, ასე გაჩნდა სალოცავი პირიმზე-ფუძის ანგელოზი. იგი დევ-კერპებთან მებრძოლია, კოპალასა და იახსარის თანამებრძოლი. მის მიერ ხელდაკრულ ქვას დღემდე ეტყობა ნიშანი და ამ ადგილას პატივისცემის ნიშნად ციკანს კლავენ ხოლმე დღესასწაულებზე.

საკლავის მიერ საკუთარი ნებით შეწირვას მრავალ ფოლკლორულ გადმოცემაში ვხვდებით, მათ შორის, არა მხოლოდ მთიანეთში, არამედ დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, იმერეთში, სოფელ ხანში, ტყელას სალოცავში. თუმცა, იქ ნებაყოფლობით ირემი ეწირებოდა, რაც საკულტო ცხოვრების უფრო მაღალ სტანდარტზე მიუთითებს.

ზოგადად, ირემი წმინდა ცხოველად ითვლებოდა. მას ზღაპრის სხვადასხვა ტიპში სხვადასხვა ფუნქცია აქვს: შემწე, მაგიური ძალის მქონე ცხოველი (მედიუმი ცისა და მიწის შორის, გაშეშებული ირემი, რომელიც რქებით ცას ებჯინება) და მსხვერპლი. სიწმინდის დაკლების შემდეგ ეს საღვთო ცხოველი ხარმა შეცვალა. „ყოველწლიურად, ირემი მოვიდოდა, ეკლესიას სამგზის შემოუვლიდა, კართან დაწვებოდა და, როცა "დაინაცოხრებდა", ტაბეშაძის კაცი დაკლავდა, წმინდა გიორგის შესწირავდა" [ხანში ირემი მოვიდა: 1]. ამავე მოტივს ვხვდებით ილორის წმინდა გიორგის შესახებ გადმოცემაში, რომელიც ჯერ კიდევ არქანჯელო ლამბერტიმ ჩაიწერა. ლამბერტი აღწერს ე.წ. ილორის სასწაულს: დღესასწაულის წინა ღამეს, ილორის ეკლესიის მფარველისადმი მიძღვნილ ტაძარში, რომლის კარები ჩაკეტილია და დალუქულია, ჩნდება ხარი, რომელიც თავისი ნებით ეწირება მსხვერპლად. მსხვერპლშეწირვის ძალა მის ნებაყოფლობითობაშია, მორჩილებაში, ხოლო იძულებითი მსხვერპლშეწირვა და ურჩი მსხვერპლი წინააღმდეგობაა: იგი აუქმებს ამ აქტის საზრისსა და მიზანს.

ფუძის ანგელოზი, გარდა იმისა რომ საკუთარ საყმოს ეხმარება, სხვათა მშველელი და შემწეცაა. ამას გვიდასტურებს გადმოცემა, რომელშიც იგი ზღვასთან დაბანაკებულ მეცხვარეებს გადაარჩენს (თსუფა№25542), ან მონადირეს დაეხმარება, რომელმაც მისი სახელიც კი არ იცის სწორად (თსუფა№30084) და ამ შემთხვევის შემდეგ გამოემართება გუდამაყარში ფუძის ანგელოზის სამსახურში ჩასადგომად.

ჩოხის წმინდა გიორგის დაარსება დევებთან ბრძოლასთანაა დაკავშირებული. მას ცირასებიდან[2] მოსულს, გადმობრძანებულს ეძახიან. თურმე მონადირეს უნახავს ირემი, რომელსაც რქებზე სანთლები ჰქონია დანთებული. ორი კვირა უწმიდია, წასულა ისევ და ირემი გაუძღვა მთის წვერისკენ. ცირასებზე ასვლის შემდეგ ირემი გაქრა, მაგრამ მოფრინდა მტრედი და მხარზე დააჯდა. მონადირემ მტრედი გუდაში ჩაისვა და წაიყვანა, მას დევი გამოჰკიდებია, სად მიგყავს, ჩემიაო. ხეთანასთან (ადგილია) დაეწია კიდევაც, თუმცა ხე წამოიქცა და დევი დააბრკოლა. მონადირემ მხოლოდ ჩოხში მისვლის შემდეგ

[2] ცირასები - ადგილია გუდამაყრის ხეობაში, სოფელ დუმაცხოსა და ბუსარჭილს შორის.

გაუშვა მტრედი და სადაც კი ის გაფრინდა, ყველგან ნიშია დაბრძანებული [ანდრეზები 2009. 292].

ჩოხის წმინდა გიორგის დაარსების აქამდე ჩაწერილ ვარიანტებში ნახსენებია სალოცავის დაპირისპირება მჭედლებთან, თუმცა ფრაგმენტულად. მე ემზარ ჩოხელისგან ჩავიწერე ასეთი ვარიანტი:

„ჩოხს შუღლიანი ყოფილან მჭედელნი. ფირუზა რქმევია, გაუკეთებია ოქროს გალია, დაუჭერია მტრედი და ჩაუსვია. ვითომ მიეჩვევა და აღარცად წავაო. პატივისცემა უნდოდა თურმე. ხატს უწყენია დატყვევება და აუყრია შუღლიანი ჩოხიდან. მჭედლების ეროს კაკუნს აღარ იხდენდა თურმე. ისე გაუხდია საქმე მაგათათვი, რომ საკლავს ვერა სჭრიან თავს ჩვენთან. ჩოხლების ქალიც რომ იყოს, იმას უფრო ერგება საკლავისთვი თავის მოჭრა, ვიდრე შუღლიანთ კაცებს...“

ზ. კიკნაძის მიერ ჩაწერილ ვარიანტში, ოქროს გალია კოჭობითაა შეცვლილი, რომელიც მიწაში ჩამარხეს. ხატს იმხელა შეურაცხყოფად მიუღია დატყვევება, რომ მთლიანი გვარი გადაუსახლებია სოფლად, აღარ ,,მოუხდენია“ თავის სიახლოვეს. როგორც ვიცით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქალი საკულტო რიტუალებში არ იღებს მონაწილეობას და ხატის რისხვა ამ გვარის მიმართ იქამდე მისულა, რომ შუღლიათ კაცებზე მეტად ჩოხლების ქალებს ერგებოდათ საკლავისთვის თავის მოჭრა.

მჭედელთან დაპირისპირება სხვა ანდრეზშიცაა გადმოცემული „მჭედელი და ბერები“. თქმულების თანახმად, ბერებიცა და მჭედლებიც ჰაერზე დადიოდნენ თურმე, იმდენად სიწმინდის დამცველები ყოფილან, მაგრამ ბერს გაურიგებია მჭედლისთვის ჩოხელი ქალი. „არ იცნობდა მჭედელი იმ ქალს, ჩამოსულა ყაზარმებში და წყლის პირას ქალისთვის უთქვამს „დაძმობას, ჯოხი გადმამიგდეო“. არ იცოდა, რომ დანიშნული იყო. ამის გამო ღმერთმა აღარ მოუმართა ხელი, ვეღარ დადიოდა ჰაერში. ცოლადა ჰყავდა და დაძმობა რახან თქვა. დადარდიანდა მჭედელი და ცოლს დაავალა, კარგად მორთულიყო. ქალი ასეც მოიქცა, ბერმა რომ შეხედა, გაიფიქრა, რა მომივიდა, მე ვერ ვითხოვეო? ვეღარ გაიარა ჰაერზე. ეე, ჯერ მე დაგღუპეო და ახლა შენ დამღუპეო!“

აშკარაა, რომ მჭედლები, რომლებიც არ იცავდნენ სიწმინდეს და გაბუდაყდებოდნენ, გაამპარტავნდებოდნენ, ხატის მიერ სასტიკად ისჯებოდნენ. იმდენად, რომ სოფლისგან მოშორებაც კი უწევდათ და აღარც საერთო რიტუალებში იღებდნენ მონაწილეობას. თავად მჭედლობა წმიდა საქმე უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ მჭედელს ევალებოდა ხატისთვის საჭირო ნივთების - ზარების, თას-განძის გამოჭედვა და, ალბათ, ამიტომაც ითხოვდა ხატი მსახურისაგან განსაკუთრებულ ზნეობასაც.

სადიდებლები

უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა დეკანოზთა მიერ გუდამაყრის სალოცავებში აღვლენილი სადიდებლები. *,,საკულტო ტექსტები იყოფა სამ ნაწილად: ღვთისშვილთ მოხსენიება (სადიდებლები), სალოცავ-სავედრებლები და კურთხევანი. კულტმსახურებაში მას მთლიანად ხუცობანი ჰქვია და შესაბამისად გვაქვს მოხსენებით ხუცობა, პირის ქარით ხუცობა და კურთხევანით ხუცობა. საკულტო ტექსტების რიგში ერთიანდება სახელისდებანი და ნაქადაგრები“* [სადიდებლები 1998:5]. გუდამაყრულ სარიტუალო ტექსტებში არ გვხვდება კურთხევანი, რაც განასხვავებს ამ ხეობის სადიდებლებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ტექსტებისაგან. სადიდებლებში ძირითადად წარმოდგენილია ჯვარ-ხატთა დიდება, მათი ძლიერების, ეპითეტებისა და სახელწოდებების მოხსენიება. ყველა ეს ატრიბუტი აკონკრეტებს ხატის ფუნქციას, ნათელს ჰფენს მის ისტორიასა და წარმომავლობას. *,,სადიდებლებსა და სალოცავ-სავედრებლებში ჯვარ-ხატების ღვთაებრივი ძალმოსილების გამომხატველ ატრიბუტებს – ცეცხლს, ნათელსა და სვეტს ქრისტიანული რწმენა უდევს საფუძვლად. ბიბლიაში, სასულიერო თუ საერო მწერლობაში ეს ატრიბუტები ყველგან არის ზეციური ძალის მაუწყებელი, ღვთაების ერთ-ერთი მახასიათებელი“ [სადიდებლები 1998:7].*

სალოცავ-სავედრებლები მიზნად ისახავს ხატს შეავედროს ესა თუ ის მლოცავი, გადასცეს მას თავისი ყმის ვედრება. ტექსტებში ნახსენები ჯვარ-ხატები შემკულნი არიან საკრალური ნიშნებით, ეპითეტებითა და სხვადასხვა სახელწოდებებით. ამ სახელწოდებებს გარკვეული საფუძველი აქვს და მათ წარმომავლობაზე გადმოცემები

შემონახულია ხალხის ცნობიერებაში. *,,ჯვარ-ხატების ამგვარი ეპითეტებით, ზედწოდებებითა და სხვა გამომსახველობითი ფორმებით – მხატვრული ხერხებითა და სიმბოლოებით – წარმოსახვა საკულტო ტექსტებში აშკარად ტრადიციული, ზოგადქართული მხატვრულ-რელიგიური და მითოსური ცნობიერების ანარეკლია, რომელიც უძველესი დროიდან აისახებოდა ხალხურ სიტყვიერებაში, რელიგიურ ადათებსა და წეს-ჩვეულებებში"* [სადიდებლები. 1998:8].

გუდამაყარში ტერმინ ,,ხუცესს" იშვიათად იყენებენ. ხატის მსახურს დეკანოზს უწოდებენ. დეკანოზის არჩევა არ ხდება არც წილისყრით და არც ხალხის მიერ, არამედ თავად ხატი ირჩევს თავის მსახურს. მათ არავინ არ ასწავლის საკულტო ტექსტებს. თავად კი მათ დამახსოვრებას ან სიზმარს მიაწერენ, ან ღვთიურ გამოცხადებას. დეკანოზი დალოცვა-დამწყალობნებას არავის არ ასწავლის. მათი სწავლა მხოლოდ ,,მოპარვით" ან ღვთიური ძალის შეწევნითაა შესაძლებელი, თან ეს ტექსტები მკაცრად კანონიკურია. *,,ხუცესი არასოდეს აძლევს თავს უფლებას თუნდაც უმნიშვნელო ცვლილება შეიტანოს ტექსტში. განსხვავებები მხოლოდ საყმოთა ადგილობრივ ტრადიციას გამოხატავს და არ არის გამოწვეული მისი წარმომთქმელის ნებასა და გემოვნებაზე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ერთი და იგივე ხუცესი არასოდეს წარმოთქვამს სავსებით იდენტურ ტექსტს - მის არსენალში არსებობს ვრცელი და შეკუმშული ვერსიები"* (კიკნაძე. 2008:206). ამის მაგალითად შემიძლია მოვიყვანო 2014 წლის აღდგომას დუმაცხოს ღვთისმშობელში ჩემს მიერ ჩაწერილი სადიდებელი ტექსტი (დასტური - ზურაბ აფციაური):

,,ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი, ღმერთო, შენა ხარ სადიდებელი, ღმერთო, გაუმარჯვე ზეგარდის წმინდა გიორგისა, ღმერთო, გაუმარჯვე დუმაცხოს სამღვთო სამღვთომაღალსა, ღმერთო გაუმარჯვე ადგილის დედასა, ღმერთო, გაუმარჯვე პირიმზე ფუძის ანგელოზსა, ოქროს შიბიანსა. ღმერთო გაუმარჯვე ჩოხის წმინდა გიორგის, ცირასებით გადმობრძანებულსა, ჩოხს დაბრძანებულსა, ოთხივ კუთხით გადმომავალსა. ღმერთო, გაუმარჯვე მთავარანგელოზს, მთავარსახსენებელსა. ღმერთო, გაუმარჯვე, საბურთველოს წმინდა გიორგის. ღმერთო, გაუმარჯვე ფშავისა და ხევსურეთის წმინდა სალოცავებსა. ღმერთო, გაუმარჯვე, დიდ ლომისას, ხორეშანთ ტყვეთა მხსნელს,

შვიდიათასი ტყვის დამხსნელსა. ღმერთო, გაუმარჯვე იოანე ნათლისმცემელსა, დარიალის კარს სამანის ჩამდგმელსა. ღმერთო, რაც ღვთიშვილნი ხსენდებიან და იდიდებიან მთელ საქართველოში, გვფარავდენ და გვწყალობდენ სუყველასა. ღვთის პირით დაილოცენით, რაც მე ვერა ვთქვა, უფალმა დაგლოცოთ და გაგამრავლოთ“

და იმავე დასტურის მიერ 2017 წელს წარმოთქმული სადიდებელი (სოფ. დუმაცხო. აღდგომა):

,, ღმერთო, შენა ხარ სადიდებელი, ღმერთო შენა ხარ სახსენებელი, რომელმან ცანი დაჰბადე. დიდება ღმერთსა, მორიგეს, მოსამართლესა და თავში კვირიას, კვირაძლიერსა. ღმერთო, გაუმარჯვე, დიდ დუმაცხოს სამღვთოსა, ზემო სოფელს დაბრძანებულსა. ღმერთო, გაუმარჯვე დიდ საღვთომაღალს, სამართალს ღვთისასა, სათავე უჭერია გუდამაყრისა, ღმერთო, გაუმარჯვე ზეგარდის წმინდა გიორგის, ზეიდან ქვეით ჩამობრძანებულსა, ღმერთო, გაუმარჯვე წვერის ანგელოზს, ორი ხევის თავდამკვირვებელსა. ღმერთო, გაუმარჯვე, ათნოხ ადგილის დედასა. ღმერთო, გაუმარჯვე, პირიმზე ფუძის ანგელოზს, ოქროს შიბიანს, ყმისა და უყმო ყმის მშველელსა. ღმერთო, გაუმარჯვე, საბურთველოს წმინდა გიორგის, სათემო სალოცავსა. ღმერთო, გაუმარჯვე, ზანდუკთ მთავარანგელოზს, მთავრად სახსენებელსა. ღმერთო, გაუმარჯვე, გუდანის წმიდას გიორგის, გმირ კოპალასა, ლახტიან-მათრახიანსა. ღმერთო, გაუმარჯვე, ლაშარის წმინდა გიორგისა, ლაშქარის წინა მძღომელსა. ღმერთო, გაუმარჯვე ფშარაველთ წმიდას გიორგისა, იქით ფშავის აქათ ლუთხუბის თავდამკვირვებელსა. ღმერთო, გაუმარჯვე მთლიანად ფშავ-ხევსურეთის სალოცავებსა, ღმერთო, გაუმარჯვე ბოდორნის დედა-ღვთისმშობელსა. ღმერთო, გაუმარჯვე ხანდო-ჭართლის სალოცავებსა. ღმერთო, გაუმარჯვე წიფორის წმიდას გიორგისა, ხმელგორზე დაბრძანებულსა. ღმერთო, გაუმარჯვე ღუდას ყველაწმინდასა, ქვის წულად მქცეველსა. ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისას ხორეშანთ ტყვეთა მხსნელს, შვიდიათასი ტყვის დამხსნელსა. ღმერთო, გაუმარჯვე გერგეტის წმინდა სამებას. ღმერთო, გაუმარჯვე იოანე ნათლისმცემელსა, ჯვრისთვის თავგანწირულსა, მეცხვარეთა მფარველსა, დარიალის კარს სამანის ჩამდგმელსა. ღმერთო, დღეევანდელი დღის ძალო და მადლო,

ღვთისმშობელო მარიამო, შენ დალოცე შენს წინა მდგომელი. ღმერთმა სუყველაი გამრავლოთ, ხალხო, ჩემი ხმის გამგონენი. სიკეთე და კაი ყოფა მოგცეთ. მრავალ დღეობას დაგასწროთ სუყელაი, გახარებულები, გალაღებულები. მე ლოცვა არ ვიცი და ღვთის პირით დაილოცენით, შვილ-ბოლო გალაღებულები. დავლოცავ მლოცავს, გაღმა-გამოღმა, ვისაც გულით უნდოდა მოსვლა და ვერ მოვიდა. დალოცვილნი იყავით და სიკეთე გქონდესთ".

ორივე ტექსტში ნახსენები ჯვარ-ხატები შემკულნი არიან საკრალური ნიშნებით, ეპითეტებითა და სხვადასხვა სახელწოდებებით. მაგ: ღუდას ყველაწმინდა ,,ქვის წულად მქცეველი", გმირი კოპალა, ლახტიან-მათრახიანი, წიფორის წმინდა გიორგი, ხმელგორზე დაბრძანებული და ა.შ. ამ სახელწოდებებს გარკვეული საფუძველი აქვს და მათ წარმომავლობაზე გადმოცემები შემონახულია ხალხის ცნობიერებაში. *,,ჯვარ-ხატების ამგვარი ეპითეტებით, ზედწოდებებითა და სხვა გამომსახველობითი ფორმებით – მხატვრული ხერხებითა და სიმბოლოებით – წარმოსახვა საკულტო ტექსტებში აშკარად ტრადიციული, ზოგადქართული მხატვრულ-რელიგიური და მითოსური ცნობიერების ანარეკლია, რომელიც უძველესი დროიდან აისახებოდა ხალხურ სიტყვიერებაში, რელიგიურ ადათებსა და წეს-ჩვეულებებში"* [სადიდებლები. 1998:8].

პირველი ვერსიისაგან განსხვავებით, მეორე ვერსიაში ზოგიერთი სალოცავი მეტი ეპითეტითაა შემკული, უფრო გავრცობილია. მაგალითად: 2014 წლის სადიდებელში მხოლოდ სამღვთომაღალია მოხსენიებული, ხოლო 2017 წლის ვერსიაში კი ამ წოდებას ემატება ,,სამართალს ღვთისასა, სათავე უჭერია გუდამაყრისა". აგრეთვე 2014 წლის ვერსიაში გვაქვს ,, ღმერთო, გაუმარჯვე იოანე ნათლისმცემელსა, დარიალის კარს სამანის ჩამდგმელსა", ხოლო 2017 წელს ,,ღმერთო, გაუმარჯვე იოანე ნათლისმცემელსა, ჯვრისთვის თავგანწირულსა, მეცხვარეთა მფარველსა, დარიალის კარს სამანის ჩამდგმელსა". ჯვართენა განსხვავებული ლექსიკისაგან შედგება, რომელიც მხოლოდ საკულტო ტექსტებში გამოიყენება. იგი არ იხმარება არც ყოველდღიურ საუბარში, არც საერო პოეზიაში. როგორც უკვე ვთქვით, საკულტო ტექსტები მკაცრად კანონიკურია. მათ ზეპირად გადაცემას თაობიდან თაობამდე ამარტივებს ისიც, რომ სადიდებლები

გამოირჩევა განსაკუთრებული პოეტურობით. *„საკულტო ტექსტების უმრავლესობას აქვს რიტმული აღნაგობა, რომელიც პოეტურ ეფექტს ანიჭებს მას. სახუცო ტექსტების რიტმულ სისტემაზე დიდ გავლენას ახდენს ჩამოთვლის გამოყენება... ტექსტების შინაგან რიტმს დიდად განაპირობებს სინტაქსურად ერთნაირად აგებული ფრაზების გამეორება... სხვადასხვა ლოცვით ფორმულებში ერთმანეთის მომდევნო ყოველი ორი სიტყვა უმეტესად ერთნაირი ბგერებით იწყება...* “[საკრალური ისტორიები 2017:103-106].

ნაქადაგარი ტექსტები, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, აღარავის ახსოვს. როგორც დედაჩემი, ნაზიკო აფციაური იხსენებს, ბოლო ქადაგი მის ადრეულ ბავშვობაში ყოფილა სოფელ ჩოხში, ხოლო დუმაცხოში მამამისს, დეკანოზ შიო აფციაურსაც კი აღარ ხსომებია. დღესდღეისობით ზეგარდაში დეკანოზია ნოდარ აფციაური, რომელიც ცხოვრობს სოფელ წინამხარში. მისი წინამორბედი იყო ივანე აფციაური, რომელიც დაახლოებით 5-6 წლის წინ გარდაიცვალა, ხოლო ივანეს წინ - შიო აფციაური, პაპაჩემი.

განსაკუთრებულად საინტერესოა ფერხისას სიმღერა. ამ სიმღერას მხოლოდ მამაკაცები მღერიან და წრეზე ცეკვავენ ფერხულს, წინ მედროშე მიუძღვით, ხელში დროშით. იგი სრულდება სხვა დღესასწაულებსა და ქორწილებშიც, თუმცა ზეგარდობაზე ამ სიმღერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ დღეს, ფერხისას შესრულებისას იწევა დიდი სიპი ქვა, რომელიც შესაწირის ორმოს აფარია. ითვლება, რომ რასაც ზეგარდის წმინდა გიორგის შესთხოვენ ამ დღეს, აუცილებლად შეუსრულებს.

,,ტიალო, ჩემო სამშობლო,

მთებიანო და ტყიანო,

გამორიყულო ჭალაო

შუაზე არაგვიანო.

მთებზე გაშლილო ცხვრის ფარავ

ანგელოზიან-ღვთიანო,

ბატკნები ჟივილ-ხივილით

ჭალაზე ჩამოდიანო.

მწყემსო, შე შასაბრალისო,

მუდამ სველფეხებიანო.

შენ შენს შრომასაც ვერა სჭამ

მაინც ქურდს გეძახიანო.

ხანდიხან ხორცით მაძღარო

უფრო მეტად კი მშიერო.

ჰოი და ქება და ღმერთსა დიდება

დიდება ღმერთსა და ჩვენსა მლოცავსა“

(ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. 2015 წლის ზეგარდობა. სოფელი დუმაცხო

შესრულებულია ზეგარდის წმინდა გიორგის საყმოს მიერ).

მას სხვადასხვა ვარიაციებით ასრულებენ, მაგალითად ფერხისას სიმღერა შეიძლება იყოს ლექსი ,,დუმაცხოს პაპავ მჭედელო“ (ვირსალაძე 1978:75). სოფელ დუმაცხოში ახლაცაა შემონახული აფციაურთა ციხის ნანგრევები. მის აგებას ვინმე პაპა მჭედელს მიაწერენ, რომელიც იარაღის, კერძოდ კი ცხრაღარიანი მაჟარის მკეთებელი ყოფილა თურმე.

,,დუმაცხოს პაპო მჭედელო, ნეტავი დედა შენსაო!

კარგი გამოგყვა საეტლო, კარგა მაიწყობ თემსაო.

დუმაცხოს ჩადგი ქვიტკირი, შორით შადზარავ მტერსაო.

შიგ შახოლ, შაჰქნი მაჟრებსა, ცხრას-ცხრას ჩაუშობ ღარსაო“

[ანთოლოგია 2010 წ. გვ 69-70].

შიშიანობის (ლეკიანობის) დროს ეს ციხე დამცველობით ფუნქციას ასრულებდა. მასში ქალები და ბავშვები იმალებოდნენ. ამ ციხეს უკავშირდება კიდევ ერთი საინტერესო გადმოცემა, რომელიც პირველად მე ჩავიწერე.

,,ციხის ქედს რო ვეძახით არა, მანდა მდგარა ის ციხე. შიშიანობა რო იყო, ბალღებს მალავდიან კე მანდა. მაშინაც ჩაუკეტიათ კარი და ყოფილა ერთი ქალი სალიაი. თხორჩალე[3] სჭერებია სულა და ქერაზაულაიც[4] ყოფილა მაგ სალიაისი. იმას გაუღია ის კარები და წაუსხმეინებია ბალღები, გაუყიდნია. უწილ-უკერძო რამ ყოფილა და მერე უტირია ბალღის დედასა:

თხორჩალეს ქალო სალიაო

ცეცხლიმც დაგწვავს და ალიაო,

შენამც გაუღე ციხის კარებიო,

შენ დაგვიჭერ ბალღებს თავებიო...

მთქმელი: ზურაბ აფციაური, 60 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. დუმაცხო, 2017 წ.

საკულტო ტექსტები დღესასწაულთა გარდა აღევლინება სამღვთოს დაკვლისას, სუფრის დალოცვისას, განათვლისას და ა.შ. ყველა რიტუალს თავისთვის განკუთვნილი ტექსტი და ადგილი გააჩნია.

სახელისდების ტექსტის წაკითხვა ნებისმიერ ოჯახში შეუძლია ოჯახის უფროსს. მიცვალებულებს დიდ პატივს მიაგებენ გუდამაყარში და თუ ხინკალი იხარშება, ან ქადები ცხვება, მათ ყოველთვის ეუბნებიან შენდობას. თუ ოჯახის უფროსი სახლში არ არის, ქალსაც შეუძლია ამ ტექსტის წარმოთქმა და ითვლება, მიცვალებულებს ეს ტაბლა

[3] თხორჩალე - მთა სოფელ დუმაცხოს თავზე

[4] ქერაზაულა - დიდი სახნავი მიწა დუმაცხოს მიმდებარედ.

საიქიოში მისდით. ტექსტი იწყება უფლის დიდებით და გრძელდება მიცვალებულთა მოხსენიებით.

„თუ ვინმე გყვანდასთ დედულთა, მამულთა, სიძე, ცოლეური, შამამბრუნავი, ობოლ-ოხერი, სალდათი, ტუსაღი, მთა-წვერთ დამჩალი, უპატრონო მკვდარი, ბალღი, ძუძუმწოვარი, თავისა, სხვისა, თქვენიმც ნება იქნებ, თქვენიც მასპინძლობა იქნებ...“ [სადიდებლები 1998:69].

სახელისდების ტექსტში ნახსენები სიტყვა „შამამბრუნავი“ ნიშნავს, რომ მიცვალებულის სული საკუთარ პატრონს ელოდება, რომ საკურთხი გაუკეთოს, წუხს საიქიოში და ამიტომ არის აუცილებელი მისი მოხსენიება. იმავე ტერმინს იყენებდნენ ხევსურეთში, როდესაც პატარა ბავშვი ხშირად ტიროდა. ამბობდნენ, რომ მას მიცვალებულის სული ,,შემოღბრუნავდა“ და ამიტომ არქმევდნენ სულის სახელსაც.

საკმაოდ გავრცელებულია გადმოცემა სამღვთომაღლის სასწაულზე, რომელიც გუდამაყარში თითქმის ყველამ იცის: მლოცავს მთიდან დაჰგორებია აკვნიანი ბავშვი, თუმცა მას არაფერი მოსვლია და აკვანზე მტრედი დაჰღუღუნებდა (ანდრეზები 2009:281-283). მტრედის სახით ჯვარისჩენა გვხვდება ზეგარდის წმინდა გიორგის დაარსების მითოსშიც და ეს აშკარად უნდა იყოს ბიბლიური პარალელი სულიწმინდის მტრედის სახით გამოცხადებასთან. აგრეთვე, ჯვარის მტრედის სახით გამოჩენას ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა მითოლოგიურ გადმოცემაშიც. მაგალითად, გერგეტის მთაზე, წმიდათაწმიდა გამოქვაბულის სიახლოვეს ოქროს მტრედები დაფრინავენ. *„მტრედებს, რომლებიც იმაგინაციური ხილვის მეორე «წამს» ფრთიან ჯვრებად გარდაისახებიან, ღვთისშვილის მკადრე თუ წმიდა ბერი ბეთლემის ქვაბში შეჰყავს„* [ჯვარი და საყმო 1996:57]. აგრეთვე, როგორც მრავალ გადმოცემაში დასტურდება, გახუა მეგრელაურს ჯვარი მანათობელი მტრედის სახით ეცხადება, ცროლის წვერზე ჯვარჩენა მტრედის სახით ხდება, სომხოს გორის გიორგის დაარსების ანდრეზში კახეთიდან მტრედის სახით გამოფრენილ ჯვარს უკან მოსდევს მკადრე, გუდანის ჯვარი მტრედის სახით ეჩვენება მკადრეს და ა.შ.

ხატის მიერ მოვლენილი სასჯელი

გუდამაყრის ხეობის ჯვარ-ხატები, ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა სალოცავები, ფლობდნენ საგანძურს - ეს იქნებოდა საგანგებოდ გამოჭედილი თასები, ზარები, დროშები თუ სხვა ძვირფასეულობა. ხატის განძს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ და მხოლოდ მეგანძურს ჰქონდა მათთან მიკარების უფლება. ხატის განძის ხელმყოფელი რომ მკაცრად ისჯება, ეს საყოველთაოდ ცნობილია. გუდამაყარში ყველა ერიდება არათუ განძთან და დროშასთან მიახლოებას, არამედ ხატის ადგილებში უდროო დროს სიარულსაც კი. ეს იყო ადრე, კლასიკურ ხანაში, როცა წარმოუდგენელი იყო სიწმინდეების ხელყოფა, თუმცა, ჩვენს პროფანულ დროში გაჩნდა შემთხვევებიც, როცა ხატის განძი დაიკარგა, ან მოიპარეს. მაგალითად:

„თასები ორჯერ წაიღეს ფუძის ანგელოზიდან ხევსურებმა, ორჯერ მაიპარეს. არეულ-დარეულია, გაუბედურებულია. ხოლოთ ვერ შასულიყვნენ. იცი, რა ექნა იმას? ციცაი მეეყვანა და ამით გადანათლულიყო და შასულიყო მერე. სამჯერ მისულიყო და ვერ მისულიყო. ვერ მიდიოდა, ხატი უშლიდა.“

ციცაით გაუსურმაგების, გაუწმინდურების მოტივი საკმაოდ გავრცელებულია მთაში. ყველასთვის ცნობილი ხმალას ალვის ხე მანამდე ვერ მოჭრეს, სანამ კატის სისხლით არ გააუწმინდურეს, აგრეთვე ლაშარის მუხაც. „ლაშარის მუხის მოსისხლე ზურაბ ერისთავი მოქმედებს, როგორც თას-განძის მპარავი... ღვთისშვილებს აფრთხობს და აუძლურებს უსურმაგის მიკარება, როგორც მათგან სხურებული სისხლი. უსურმაგი ქაჯთა (და ალბათ დევთაც) იარაღია ანგელოზთა წინააღმდეგ, ამიტომაც, რაკი ზურაბ ერისთავი უსურმაგის მსხვერპლს სწირავს, ეწევა შავ მაგიას, როგორც ქაჯთა სამყაროდან მოვლენილი, ფშავ-ხევსურეთის საყმოთა წარსაწყმედლად“ [ჯვარი და საყმო. 1996:373].

არანაკლებ მკაცრად ისჯებოდნენ გაბუდაყებული პერსონაჟები. გაბუდაყება მთიულური სიტყვაა და როგორც მას ეთნოგრაფები განმარტავენ, გამდიდრებული კაცის საყმოსგან გამოცალკევების მცდელობას, დანარჩენებზე თავის დამეტებას ნიშნავს. ამპარტავნობას და მედიდურობას თემი არავის პატიობდა, რადგან მთაში ყველა თანაბარუფლებიანი და თანასწორი უნდა ყოფილიყო ჯვარის წინაშე. ამიტომ ჯვარი გაბუდაყებულ ყმას ,,არ იხდენდა“ და სათანადოდ სჯიდა. მსგავსი შემთხვევა არაერთხელ დასტურდება ანდრეზებში.

გუდამაყარში გავრცელებულია გადმოცემა გამდიდრებულ კაცზე, მირიანეულზე.

„მირიანეული ყოფილა ერთი და ღორები ჰყოლია მრავალი. ეს ღორები, საცა ე ხატი ბძანდებოდა, წვერის ანგელოზი, იქ უვლევია. უვლევია იქ ეს ღორები და ეს ხატი გაფრენილა მემრე და იქით გადასულა, გარიდებია. იქაც მიურეკავ, იქიდან აფრენილა და, კოშკისმაღალს ვეძახით, იქ არი ყორე, იქ დაბძანებულა. იქაც აურეკავ ღორები. მემრე ათნოხს გასულა იქიდან (ათნოხს იციან ახლა ეს წვერობა). მერე გამოსულა მოთმინებიდან ეს ხატი და სულ გაუთავებია მირიანეული თავის ოჯახიანათა.

შავხე და შავხე, შაგეცალეო,

შამამყევ, მირიანეულოო,

ხო მიგაყენე და მიგაყენე

და ქალი-ქალზედა დაგაყენეო!

ეგრე დალოცა, დასწყევლა ეს კაცი. მე ეგრე გამიგონია და მომსწრე არავინ არის. მამაჩემი ასი წლისა მოკვდა, მაგრამ იმასაც გაუგონია და, როდის იქნებოდა, არავინ იცის. ნაკოჭვარია ხატისი, ჩვენ იქა ვლოცულობთ ისივა. ჩვენ ათნოხს არ მივდივართ, თუ ნათქომობა არა გვაქვ. თუ არა და, შენი ნებაა, გინდა იქ წახვალ, გინდა აქ იქნები."

თსუფა. №25562

სხვა ვარიანტში მირიანეულს ბევრი ცხვარ-ძროხა ჰყავს, მაღლა მთაში წველის და რძე თიხის მილებით ჩამოსდის სოფელში. თიხის მილები შეგვხვდა დევის პინების გადმოცემაშიც. ხალხისთვის ეს ანომალიური, ამორალური საქციელია, უკიდურესი სიმდიდრის ნიშანია და იგი შესაბამისადაც ისჯება - მისი გვარი ქალებზე დავა.

მსგავს მოტივს ვხვდებით სულასა და კურდღელას - ჩარგლელ ძმათა ანდრეზში. ისინი ისეთი გაამპარტავნებულები ყოფილან, რომ თურმე ხალხს არ უშვებდნენ არაგვის ჭალაზე. არც ფშავლებს და არც ხევსურებს. ისე შეწუხებულან, რომ ლუხუმის შვილს ახალი წლის დილას ღალატით დაუხოცინებია ისინი. ხალხი ჩაუსაფრებია, თავად მეკვლესავით მისულა, როგორც დედიძმის შვილი და როცა დაათრო, დაუძახა ხალხს და ორი სოფელი ორ კაცს დაეცა. სულა ახუნთან მოუკლავთ, ხოლო კურდღელა გამოჰქცევიათ და ჩარგალთან მოუკლავთ.

ჯვარი სჯის არტნელ თაგვა თაღლაურასაც, არხლელ არხალს, გოგოლაურთელ ყარტაულას. მათ თავი მოაქვთ, ყოყოჩობენ საკუთარი სიმდიდრით. *„როცა დოვლათით გაბუდაყებული საყმოსაგან დამოუკიდებლად გრძნობს თავს, ის ჯვარსაც უარყოფს, როგორც ღვთიურ პატრონს, და დევნის მას. ეს არის გაბუდაყების მწვერვალი, რაც უკიდურეს ინდივიდუალიზმში გამოიხატება. ამ დროს «ღილი» მოწყვეტილია მიწას და ცას და ის არ შეიძლება არ განადგურდეს"* [ჯვარი და საყმო. 1996:253-255]

ჯვარისგან უმკაცრესად ისჯებიან ცხრა ძმისგან შემდგარი დიდი ოჯახები. ცხრა ისედაც საკრალური ციფრია და ძმები საკუთარი რიცხვოვნობის გამო გაბუდაყდებიან. როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, ისინი ემსგავსებიან ცხრათავიან დევს და სწორედ ამ რიცხვში მარხია მათი ბედისწერაც: კურთხევა წყევლად იქცევა, როცა ისინი სოფლისგან აღმატებულობაზე განაცხადებენ პრეტენზიას. ასეთი ოჯახებია ცხრა ძმა მიდელაურები, გვიდაქელი ცხრა ძმა, ლაკათხეველი ჯაუნაურნი. მათ ჯვარი უგზავნის გამაფრთხილებელი ნიშნებს - სათიბში წყალი ეყინებათ, სახლში რძე, აკვანში ბავშვის შარდი, თუმცა მათი სიამაყე ზღვარგადასულია და ვერ ამოიცნობენ ამ წმინდა ნიშნებს, რასაც მათი პირწმინდად გაწყვეტა მოჰყვება.

IV თავი

დემონოლოგიური გადმოცემები

გუდამაყარში მრავლად მოიპოვება გადმოცემები დემონოლოგიურ არსებებზე: დევებზე, ჭინკებსა, თუ ალებზე. უძველეს დროში ხალხი ყველანაირ ბუნებრივ მოვლენას მიაწერდა ზებუნებრივ ძალებს. კეთილ ძალებთან ერთად მათ წარმოდგენილი ჰყავდათ ისეთებიც, რომლებსაც ადამიანისთვის ზიანის მოტანა შეეძლო. ესენი არიან დემონური პერსონაჟები, ღვთაებრივ არსებათა გარკვეული ჯგუფი. მათ არ ჰქონდათ ადამიანის სახე. ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ბოროტების ხარისხით. ზოგი

ერთმნიშვნელოვნად ბოროტი იყო, ზოგი კი ბოროტთან ერთად ღვთიურ ნიშნებსაც ამჟღავნებდა. ეს განსხვავება ამ არსებების წარმომავლობითაა განპირობებული.

სამყაროში კეთილისა და ბოროტის არსებობა უძველეს კოსმოგონიებშივე გამოიკვეთა. პარადიგმა ძირითადად ასეთია: ორივე საწყისს თანაბარი ძალა აქვს, გამარჯვებული სიკეთე ბოროტებას ამწყვდევს და კოსმოსი, სამყარო გადაურჩება დამანგრეველ ძალას. თუმცა, გარე სკნელში რჩება ქაოსი, რომელიც დემონურ ძალთა სამყოფელია. ისინი ახერხებენ კოსმოსში შემოღწევას. თუმცა, ღვთაებებთან საბრძოლველად ძალა არ ჰყოფნით და ადამიანებს ერჩიან. დემონურ არსებებსაც, ღვთაებების მსგავსად არჩეული აქვთ სამოქმედო სფეროები (მგზავრობა, ნადირობა, სამეურნეო საქმიანობა). მათში გარკვეული იერარქიაც არსებობს ძალაუფლების მხრივ. დემონურ არსებათა უმრავლესობა მდედრობითი სქესისაა და მათი უფროსებიც ქალური ბუნებისანი არიან.

ადამიანს სახლში, ,,შინაში“ საფრთხე არ ემუქრებოდა. ეს იყო მისი ციხე-სიმაგრე, ბუდე. თუმცა მას უწევდა გარე სამყაროში გასვლა და სწორედ იქ, ტყე-ღრეში, ხევებსა და მიუვალ ადგილებში ელოდა საფრთხე ავსულთა სახით.

ამ გადმოცემებს არა მარტო ხალხის მახსოვრობა ინახავს, არამედ ტოპონიმებიც კი შესაბამისია. მაგალითად, არსებობს ადგილი, რომელსაც მოსახლეობა დევის პინებს უწოდებს. მას უკავშირდება შემდეგი გადმოცემა:

„პინებთანა რძე მოჰქონებია მთიდანა მილებით. იმაში უყენებიაო და ორი პინა იყვისკე, სხვა კი არა იყვის და ტყუილია ეგა, კაცო! რო ვერვინ იცის, არა, ზოგი რას გამაიგონებს და ზოგი _ რასა. სადღაც ზევითა ყოფილა, საქონელი უწველავა და მემრე მილში ჩაუსხამა და იმ პინებზე ჩამოდიოდაო. ან მილში რა ჩამოდიოდა ან იმაში რა დაეტეოდა! გამოგონილია და, ეს ვიცი, რატო იყო დათლილი პინა და, მაგისი გამგე არავინ არი. და დევის პინებს იმიტომ ეძახიან.“

თსუფა, №25573

ეს მილები, რომლებიც ნახსენებია ანდრეზში, ხალხს შემდეგ აღმოუჩენია მიწის დამუშავების დროს. ჩემს პატარაობაში მრავალი მეზობლის მიერ გამიგია, რომ მიწაში, სათიბებში, თიხის მილებია ჩატანებულიო. ხალხური გადმოცემები გამყარებულია იმ გეოგრაფიული გარემოთი, რომელშიც ეს ხალხი ცხოვრობს. მათთვის ყველა ეს გადმოცემა რეალობაა, რადგან შეუძლიათ გაჩვენონ უზარმაზარი, დათლილი დევის პინები, თიხის მილები, რომლებშიც რძე მოდიოდა, ხეთანა, სადაც წამოქცეულმა ხემ დევს გზა გადაუღობა და მრავალი ასეთი ადგილი.

დევი მითოლოგიაში პოლიფუნქციური პერსონაჟია. გუდამაყრელთა წარმოდგენაში მას აქვს შებრუნებული ტერფები. ხმას იცვლის. იგი ზორბაა, ბეწვიანი. ებრძვის კაცებს. არ შეუძლია სახლში შესვლა. ყველას არ ერჩის. ერთ-ერთი გადმოცემით, დევი კაცს გახედავს, თუ სინათლე გასდის ბეჭებში - დაეჭიდება, თუ არა და თავს ანებებს. იგი ზოგჯერ ბავშვის, ზოგჯერ კი ქალის სახით ეჩვენება ადამიანებს და ფეხებით იგებენ მის ნამდვილ ვინაობას. დევს, ისევე როგორც სხვა უწმინდურ არსებას, ეშინია ჯვრის და ბასრი იარაღის. ამას გვიმოწმებს შემდეგი გადმოცემაც:

„იყვნენ ჩემი მამიდები, ორნი. წასულან ცხენით, თურმე ავიდნენ, ერთი დიდი ტყემალი იდგა გზის პირას და იქა მშრალი მიწა იყო, თურმე ბალღია იქა, წითელი ბოჩოლას ბეწვიანი გუდა ჰკიდია. მამიდამ შახედა და დაინახა, ამ ბალღსა ფეხები უკუღმა ჰქონდა. მიხვდა, რო დევია ესა. შაშინდნენ და გამაიქცნენ. მოსდევს ბალღი, მაგრამ ვერ დაეწივა, შეასწრეს სახლში. ხმას ვერ იღებენ. მიხვდა ამათი მამა, რო დევი შახვედრიყო. ხანჯლით შამოუტარა სამჯერ მიწაზე ფეხებთანა და უწმინდურმა ვეღარა ავნო, ამაიდგეს ხმაი.“

თსუფა, №30080

გუდამაყრულ მითოლოგიურ გადმოცემებში ასევე ხშირად გვხვდება ალი. თავად მეც პატარაობაში ხშირად მეუბნებოდნენ, რომ არაგვის პირას გასვლა საშიში იყო. იქ ალი იჯდა, რომელიც თმას ივარცხნიდა და თუ ადამიანს ხელში ჩაიგდებდა, მაშინ მას თმებით

დაახრჩობდა. ალისთვის ძვირფასია თმა და ფრჩხილები. კაცი მას თუ ჩაიგდებს ხელში, ეშმაკეული პერსონაჟი მორჩილად ემსახურება. მათი ურთიერთობა ტაბუდადებულია.

„ერთი კაცი თურმე სთიბს მთაში. იმას აჰყვა ერთი ალი ქალის მაგივრად. ლამაზ ქალივით იქნებოდა. მამრე ის რო სთიბს, ტვირიფვაის ხე გააკეთა ცელის მაგივრად. რას მასთიბდა?! უკიცხავს იმასა. რაღა ქნას ამ კაცმა. პური ჭამა, იმანაც შაჭამა. ახლოს არ უდგება. მოთიბული ბალახი ხო აქვ. გაგრიხა მაგარი ალდახი, მაჯის სისხო. შამაიხვივა ამ ფეხებზე, რო თქოს კაცმა, ამ ეშმაკმაც ისე გააკეთა: დაიხვივა ქალმაც. კაცმა ცელი გამოუსვა და გასჭრა, ქალმა - ვერა. კაცმა დაიჭირა ქალი, მააჭრა თმა, ფრჩხილიც მეეჭრა, მგონი, ჩადვა ქარქაშში და სახში წამაიყვანა. არის იმასთან. წყალზე რო წავიდეს, თურმე იგვიანებს. ის კაცი ეკითხება: „რატო იგვიანებო?“ `სურდო მოსდევდაო.“ ვერა და ვერ იჯელა. გავიდა დიდი ხანი. ეხლა იმ კაცს ბალღი ჰყავს შვიდი-რვა წლის. ჯალაბნი სადღაც წავიდნენ. ვერ მივა იმ ხმალთან ალი. ამ ბალღს უთხრა, აი ის ხმალი ჩამამიღეო და ზოგი რა მისცა, ზოგი რა. დააბრუნა ეს ქარქაში, აიღო თავისი ფრჩხილები, თმა და ეს ბალღი ისე გახადა, არ მოკლა კი და, მაგრამ არც დაანარჩომა.“

თსუფა №26783

სერგი მაკალათიას აზრით, მსგავსი ქმედება (ნივთიერ გამოსახულებაზე შესრულებული აქტის თავად მიზანში ამოღებულ არსებაზე გამეორება) ახასიათებს რელიგიური რწმენის განვითარების პირველ ეტაპს, ე.წ. მაგიურობის რწმენას. ადამიანი ამ ეტაპზე საკუთარ არსებაში გრძნობს იდუმალ ძალას და სხვადასხვა მანიპულაციებისა და რიტუალების საშუალებით ცდილობს ბუნებაზე ზეგავლენის მოხდენას. ამასთან, ამა თუ იმ არსების ნაწილის მოჯადოება საკმარისია თავად ობიექტზე ზემოქმედების მოსახდენად. *,,სიმპათიური მაგია, რომელიც ემყარება პრიმიტიული რწმენის იმ პრინციპს, რომ საგნებსა და მოვლენებს შორის დროისა და მანძილის მიუხედავად არსებობს რაღაც იდუმალი სიმპათია. სიმპათიის მაგიურობის ასეთი რწმენა ჩვენს მთიულებსაც ახასიათებს...“* [მთიულეთი. 1930:132-133]

მსგავსი პერსონაჟები სხვა ქართველურ გადმოცემებშიც მოიპოვება, მაგალითად: ხევსურულში არის გაბურთ ეშმა, რომელიც გუდამაყრული ალის მსგავსად დაუჭერია ვინმე გაბურს. დარჩენილა გაბურის ოჯახში და ბევრი საკვირველი რამ უკეთებია: როცა ყანა ყოფილა სამკალი, ფაფა მოუდუღებია, შუაღამით ყანაში გაუტანია, დაუძახნია თავისი მოძმე ეშმაებისთვის და დილამდე მთელი ყანა მოუმკიათ; როცა კარაქი ყოფილა მოსადღვები, საწყლეთი წყალი მოუტანია, შიგ ცოტაოდენი რძე ჩაუსხამს და სულ კარაქად უქცევია. ამნაირი ბევრი რამ ჩაუდენია; გაბურის ოჯახისთვის ძალზე გამოსადეგი ყოფილა. ბოლოს, ეშმას ოჯახის უფროსი წევრების არყოფნით უსარგებლია, გაბურის ხუთი წლის ვაჟი შეუცდენია, თავისი ფრჩხილები დაუბრუნებია და გაქცეულა; წასვლის წინ ბავშვისთვის უთქვამს:

„დაწყევლით ვერ დაგწყევთავ ისრავ, რო სრუ გაგათავნათავ, – კანი მყვანდითავ. შვიდ მამას ნუ გაღბევრდებითავ და ნუმც გასთავდებითავ! შვილიმც მამას ნუ იცნობთავ! შვილ რო გაჩინდების, მამაიმც ქვე მახკვდებითავ! თითოიმცავ კა მენადირე ნუ მაგეშლებისთავ, თითო კა ცხენივ, თითო გიჟივ! შვიდ მამასავ შინ სიკვდილიმც ნუ გიწერავთავ!“ ეშმას ნათქვამი ახდენილა. [კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, 2017:196]

მსგავსი მოთვინიერებული დემონოლოგიური პერსონაჟია თუშური თებჟორიკაც, იგი ლამაზია, თუ ვინმემ მისი დაჭერა მოახერხა, მსახურად დაიყენებს. ადამიანს არაფერს ავნებს, ოღონდ მძინარს, დღისით თუ ღამით, დააწვება, პირს პირზე დაადებს, ხელს – ხელზე, ყოველმხრივ მოერგება კაცს და სულს უხუთავს. კი არ კლავს, აწვალებს. თუ ამ მომენტში მარცხენა ხელს ისე მომუჭავ, რომ ცერა თითს მჯიღში მაგრად მოიქცევ, თებჟორიკას ცერათი დაიჭერ. იგი გასხლტომას ეცდება, ხან კატად გადაიქცევა ხელში, ხან ძაღლად, ხანაც გველად, მაგრამ არ უნდა შეშინდე და დაგნებდება, თავის სახეს მიიღებს. დატყვევებულ თებჟორიკას მარცხენა ხელის ნეკზე ფრჩხილს თუ მოაჭრი და ხანჯლის ქარქაშში ჩადებ, იგი შენია (ხანჯლის ეშინია და ქარქაშიდან ვერ ამოიღებს), ვერსად წაგივა. ასეთი თებჟორიკა საოცრად მორჩილია, დამჯერი და ყოჩაღი, ყველაფერს აკეთებს, ოღონდ უკუღმა უნდა ელაპარაკო, ვთქვათ, თუ ცეცხლის დანთება გინდა, უნდა

უთხრა: „ცეცხლი ჩააქრე“, წყლის მოტანის ნაცვლად – „წყალი არ მოიტანო“ და ა. შ. თებუორიკა უვლის საქო-ნელსა და ბავშვებს, მკის ყანას, უზარმაზარი ლოდებისაგან აშენებს ციხეებს და სხვ. არის გულთმისანი, შეუძლია სხვისი ნაფიქრი გამოიცნოს.

შენაქოელ ჭვრიტიანებს თებუორიკა დაჭერილი ჰყოლიათ; ომალოში კაცი მომკვდარა და ქალებს იგიც წაუყვანიათ: ზის მოტირალ დიაცებში თებუორიკა და ხმას არ იღებს, მაგრამ უცებ გადაიხარხარა თურმე; ქალებს მუჯლუგუნი უკვრიათ და გაუჩუმებიათ, მერე უკანა გზაზე უკითხავთ, რა გაცინებდაო, უპასუხნია: როგორ არ გავიცინებდი, ერთმა კოჭლმა კაცმა გამოიარა და მკვდრის ცოლმა გაიფიქრა, ნეტა, ასეთი კაცი მაინც არ წამიყვანსო.

თებუორიკა დიდხანს ჰყოლიათ ტყვედ ჭვრიტიანებს; ერთხელაც, შინ რომ არ ყოფილან, თებუორიკას ბავშვი შეუგულიანებია და მას ქარქაშიდან ხმალი ამოუღია; ამ დროს ფრჩხილი ამოვარდნილა, უტაცნია ხელი თებუორიკას და გაქცეულა, წასვლისას ჭვრიტიანები დაუწყევლია: *„სახელიან კაციმც ნუ დაგელევათა დ უსახელო ქალივ“. მართლაც, ჭვრიტიანების გვარს სახელოვანი კაცები არ დაკ-ლებიათ, მაგრამ ქალების სახელით თავს ვეღარ იწონებდნენ.“* [კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები 2017:335] ჭვრიტიანებისა და გაბურების თავგადასავალი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ეშმაცა და თებუორიკაც ძალას კარგავს ფრჩხილის მოჭრის შემდეგ, ორივე უკუღმა ასრულებს პატრონის ნათქვამს და ვვერცერთი ვერ იმეტებს ოჯახს ბოლომდე გასანადგურებლად. თუმცა, ზოგიერთი გადმოცემა დრამატულადაც მთავრდება - ეშმა ყელს ღადრავს ბავშვს, რომელსაც ფრჩხილების ადგილსამყოფელს წამოაცდენინებს, ოსურ გადმოცემაში ნართი სეკინას მიერ დატყვევებული ეშმაკი მის შვილებს გველებად აქცევს და ა.შ.

როგორც ჩანს, მოთვინიერებული ეშმას მოტივი გავრცელებულია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც. დაღესტნელ ლაკებს ჰყავთ ორი პერსონაჟი, მანთული და სუხალუტუ. ძონძები აცვიათ, თუმცა მძივები აქვთ და ოჯახებს ემსახურებიან. რატომ და რისთვის არავინ იციან. თავისი ნებით მოდიან და მიდიან. (კავკასიის ხალხთა ფოლკლორი. 2008:175) ამით ისინი ემსგავსებიან ხევსურ სამძიმარს, რომელიც ხახმატის

წმინდა გიორგიმ ქაჯავეთიდან მოიყვანა სხვა ქაჯის ქალებთან, აშექალთან და სიმენქალთან ერთად.

თვალში საცემია ამ პერსონაჟთა ორმაგი ბუნება: ერთი მხრივ, ისინი კეთილი სულები არიან, ოჯახის წევრებს უწევენ ფიზიკურსა და მატერიალურ დახმარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიური თვისებებით გამოირჩევიან. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ თავდაპირველად ისინი სულაც არ იყვნენ ნეგატიური პერსონაჟები. თუმცა, მათი თავდაპირველი ფუნქციები მოიშალა და დემონური თვისებები შეიძინეს.

გუდამაყრის ხეობაში გავრცელებულია ე.წ. ნაძრახი ადგილები. ადამიანები იმ ადგილს ერიდებიან, რადგან დიდი უბედურება მომხდარა, ან სჯერათ, რომ უწმინდურ სულებს აქვთ დასაკუთრებული. მსგავსი ადგილია ხოსროკლდესთან, სადაც, როგორც დედიძმამ მითხრა, ეშმაკები ბუდობენ. თუ ღამით მგზავრი გაივლის, ეძახიან და ცდილობენ, როგორმე შეიტყუონ, გააგიჟონ და კლდიდან გადააგდონ. ასეთივე ადგილია სოფ. დუმაცხოშიც, ვაკისკენ (მოსწორებული ადგილია, სოფლის წინ) ასასვლელი. ამ ადგილთან დაკავშირებით, დედაჩემი, ნაზი აფციაური შემდეგ ისტორიას იხსენებს:

„მამა ცხორში იყო წასული, ყიზლარში. ჩვენი მეზობელი კაცი თურმე მთვრალი ამოდიოდა ზეით დუმაცხოს. კუნელასთან ამოიარა და ვიღაცამ სახელით დაუძახა. მამაშენი იდგაო და მეძახდაო, მეორე დილით მითხრა, ერთად ამოვიარეთ ის გზა და მერე, ნიშს რომ მოვუახლოვდით, წამოვწვები აქაო, შენ წადიო. წამოსულა სახლში ეს კაცი... ერთი კვირის მერე ჩამოიდა მამა ყიზლარიდან და გაუკვირდა, არა ვყოფილვარ მენაო...“

ითვლებოდა, რომ უწმინდური სულები წმინდა ადგილებს ვერ დალახავდნენ და მოჩვენებაც იმიტომ გაქრა ნიშთან მოახლოებისას.

ნაძრახ ადგილად ითვლება ლალეენთ ჭალა[5] იქ დატრიალებული უბედურების გამო. ლალა კაცის სახელი ყოფილა, ოჯახიანად იმ ჭალაზე ცხოვრობდა თურმე. ერთ

[5] ადგილი სოფ. დუმაცხოსთან

ზამთარს მთლიანი სახლი ზვავმა დაიტანა და ოჯახი მთლიანად გაწყდა. იმის შემდეგ იმ ადგილას ღამით გავლას ერიდებიან და, როგორც დედიძმამ მითხრა, თუ მაინც გაივლიან, მგზავრებს ბავშვების ტირილი ესმით.

მაქციების - მგლად გადაქცეული ადამიანების მოტივი გოდერძი ჩოხელს, შესანიშნავ მწერალს, არაერთ ნაწარმოებში აქვს გამოყენებული. ეს სიუჟეტი მას აღებული აქვს ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, რადგან პატარაობაში არაერთხელ მსმენია მეზობლებისგან ქალზე, რომელიც ღამე მგლად/კატად იქცეოდა, ხოლო როცა კატას დაიჭერდნენ და სცემდნენ, ის ქალიც ნაცემი დახვდებოდათ. მგლად გადაქცევა აუცილებლად სოფელს გარეთ ხდებოდა, დღისით იგი ჩვეულებრივ ეჩვენებოდა მეზობლებს, მათთან ერთად საქმიანობდა და წყალზე დადიოდა, ღამით კი - ცხოველად გადაქცეული ადამიანებისთვის ზიანის მოტანას ცდილობდა.

მსგავსი მოტივი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიაშიც გავრცელებულია. იგი გვხვდება ოსურ, აფხაზურ, ჩერქეზულ და ჩეჩნურ გადმოცემებშიც. *„ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ სოფელში კუდიანობაში ეჭვმიტანილს XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კი, ზოგჯერ, სიკვდილით სჯიდნენ. ამ ტიპის გადმოცემები რეალურ ისტორიებზეა აგებული. უფრო სწორად, კუდიანობაში შემჩნეული ადამიანები და მათი დამსჯელები, რეალურად ცხოვრობდნენ იმ სოფლებში, რომლებზეც გადმოცემები მოგვითხრობენ...“*[საკრალური ისტორიები 2017:219].

გუდამაყრის ხეობის დემონოლოგიური გადმოცემები ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ საქართველოს სხვა კუთხეებისა და ჩრდ. კავკასიის ხალხთა დემონოლოგიურ გადმოცემებთან. კერძოდ, გუდამაყრულ გადმოცემებში გვხვდება ჩრდ. კავკასიაში გავრცელებული პერსონაჟები - მოთვინიერებული ეშმები, კუდიანები, მგლად/კატად ქცეული ქალები, ალები და ა.შ.

V თავი

საბჭოთა პერიოდის ფოლკლორული გადმოცემები, გალექსებები, მთქმელები

გასაბჭოებამ საკუთარი კვალი დაამჩნია როგორც გუდამაყრის სოციალურ ცხოვრებას, ასევე ფოლკლორულ შემოქმედებასაც. როგორც ელენე ვირსალაძე აღნიშნავს, ახალგაზრდობა გუდამაყარში მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა ანდაზებს, ზღაპრებსა და გამოცანებს. მეტიც, მათი მოყოლა სირცხვილადაც კი მიაჩნდათ. როგორც ჩანს, სხვადასხვა წლოვანების ადამიანებს მათი ასაკისთვის შესაფერისი რეპერტუარი უნდა ჰქონოდათ: უფროსებს - მითოლოგიური გადმოცემები, ამბები ხატებისა და სალოცავების შესახებ, ახალგაზრდებს - ისტორიული გადმოცემები, ხოლო ბავშვებს - ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და გამოცანები. ,,თუკი მოხუცთა რეპერტუარს ძირითადად ეპიკური ციკლები (ამირანიანი, ტარიელიანი, ბეჟანიანი, ეთერიანი) და საგმირო-საისტორიო, სასულიერო, ან საწესო პოეზია შეადგენს, ახალგაზრდების ლექსებში მოცემულია ახალი ყოფა, ახალი ინტერესები“ [ვირსალაძე 1958:40]. საინტერესოა სწორედ ეს ახალი ყოფა, რომელიც შესანიშნავად აისახა სახალხო მთქმელების შემოქმედებაში. შევეცდები, ზოგადი წარმოდგენა მაინც შევქმნა ამ პერიოდის შემოქმედებაზე, თუმცა მასალა ძალიან ბევრია და, ვფიქრობ, გამოსაკვლევად საინტერესოც. მის კვლევას დიდი ძალისხმევა და მონდომება სჭირდება და მე ვისურვებდი, უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდეს ამ თემით.

გუდამაყრის ხეობაში ძალიან პოპულარული იყო გიორგი წიკლაურის, ე.წ. „ყაჩაღის“ ლექსები. თავად წარმოშობით ლუთხუბიდან ყოფილა, ხორხის ციხეში ჰყოლიათ დატუსაღებული და მისი ლექსები თითქმის ყველამ ზეპირად იცოდა.

„ციხიდან გავცქერ მთვარესა,

ამომხდარ ბორის ფხაზედა,

გულდინჯი მოსიარულე

ამ შავბნელ ქვეყანაზედა.

მთვარევ, ნუ დამემდურები,

შენთან სიტყვების თქმაზედა.

ხორხში გავატან წერილსა

ჩემს დაზე თამარაზედა,

ან დაინახავ ბანზედა,

ან წყალზე მიმდინარესაო,

უთხროდე შენი ძმა ვნახე

მომდგარი ფანჯარაზედა.

იყო გართული ფიქრებში,

რავი ფიქრობდა რაზედა,

ვერ გეტყვი ტუსაღის ამბავს,

გადანაყარი თავზედა.

თუ გეტყვი, ისევ შენ ჭირად

გადაირევი ჭკვაზედა,

აბა წადი და დაართე

ცეცხლი მდინარე წყალზედა.

შენც იქვე ახლოს დაჯექი

იქვე მახლობლად სკამზედა,

შენ თუ იქ ცეცხლი დაანთე

ცეცხლი მდინარე წყალზედა.

მაშინ შეხსნიან კლიტესა,

კლიტეს გუბერწკნის კარზედა.

გამოუშვებენ ტუსაღსა

წამოვა შარაგზაზედა.

მაშინ მოგივა შენი ძმა

თმა გამოშვებულ ყბაზედა.

ვერ იცნობ პირის სახეზე,

თუ იცნობ ისევ ხმაზედა.

დაგედინება ცრემლები,

დაო, ძმის დანახვაზედა,

ციხიდან დატანჯულზედა,

ცოცხალის დამარხვაზედა.

იკითხე, დაო, წერილი,

ჩემი ხელების ნაწერი,

შენ იმას ნულარ იდარდებ,

რომ მომისაჯეს რვა წელი.

მოიპოვება მახვილი

ვაშლის შუაზე გამჭრელი,

იქნებ მენაც მომირჩეს,

გული - გველების ნაკბენი.

თსუფა №31006

ყაჩაღის ლექსები ძირითადად ტუსაღის ფიქრებს, სამშობლო მხარის მონატრებასა და წუთისოფლის სამდურავს ასახავს. მისთვის სიკვდილი მიუსჯიათ და სტალინისთვის ასეთი ლექსი გაუგზავნია:

„აღმოსავლეთით სარდალო

და დასავლეთით მესია

ცოტა სიცოცხლე მაჩუქე,

თხოვნა ვაუკაცის წესია,

ცოცხალი გამოგადგები,

მკვდარი კი ვერაფერშია...“

(მთქმელი: ნაზი აფციაური, 59 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. თბილისი. 2016 წ.)

როგორც ხალხს სჯერა, ეს ლექსი სტალინს პირადად წაუკითხავს და მისთვის სასიკვდილო განაჩენი პატიმრობით შეუცვლია. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივში დაცულია აგრეთვე სხვადასხვა მთქმელთა გაპაექრებები გიორგი წიკლაურთან. მაგ. ვასილი ჩოხელს დაუწერია მისთვის საპასუხო ლექსი:

გიორგიმ მენაც მალექსა,

ლექსობას არის ჩვეული.

ან მაგის მეტი რა იცის,

საქმე აქვს გამოლეული.

ღმერთმა კი ნუ ქნას ვასილი

შენსავით გამორჩეული,

დადიხარ გოროდის ქალთან

სოფლიდან ჩამოთრეული.

როგორი მოხვდა გიორგი,

ქალები შემოქნეული.

ცოლს მოუტანე ხალათი

იმათგან ჩამოხეული...“

თსუფა №31014

გუდამაყრის ხეობაში მრავალი ცნობილი სახალხო მთქმელი ყოფილა:გივი ჩოხელი, გეჯურა წიკლაური, ბასა, ვასილ ჩოხელი და ა.შ.

გეჯურა წიკლაურს გალექსებია თურმე ხადელი კაცი, ბასა ერთ-ერთ სუფრაზე.

ბასა: ჩემთან არ გამოგადგება,

გეჯურავ, თავის მეტობა!

გეჯურა: რამ დაგიწერა, მთიულო,

თავით ფეხამდე ცეტობა?

ბასა: დედაკაცი მყავ ისეთი

კალაპოტივით მეწყობა.

გეჯურა: ე შენი ცოლის სიკარგე

ემა შენ ჩოხას ეტყობა -

ბოლოებშემორღვეული

მხრებშიაც აღარ გეწყობა.

თსუფა №30366

თურმე ბასას დახეული ჩოხა სცმია და გეჯურამაც სწორედ ამაზე დასცინა.

„თურქიათ ივანიას გამაულექსებია ქალი ლეღვაისი, უცხოს გაჰყვაო. ახლა ამან მისწერა:

ლეღვაზე რატო მალექსე

რამ დაგატანა ძალაო.

შენ ჩემზე ადრე გიმკია

ურჯულოების ყანაო.

რამდენს გაუხსენ საკინძე,

რამდენს მოჰყარე ღალაო.

რამდენჯერ აწიე აკვანი

ქართულად უთხარი ნანაო

მაგრამ ვეღარა ასწავლე

ქართული ანიბანაო.

წავიდნენ დედის რჯულზედა,

გადაივიწყეს მამაო.

მე რა მიქნია ეგეთიო,

რაც შენ გიქნია არაო.

ოროლი გყავდნენ ერთადა

ტანიაი და კლავაო.

გახსოვსა, სქელმა ტანიამ

ტყუპები დაგიყარაო.

ორნივ ქალები დაგიჩნდენ

ალკაი, როიზანაო.

ჩაიხუტებდი ბალღებსა,

შვილო, გენაცვლოთ მამაო.

ელიკოს იმას ატყუებ,

ვინა მყავს შენისთანაო.

მზესთან ხარ დასადარები,

თხუთმეტ დღის მთვარესთანაო.

გასცდები, დაგავიწყდება

შენი სიტყვების ძალაო...“

მთქმელი: ემზარ ჩოხელი, 48 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. ჩოხი, 2018 წ.

თურქიათ ივანეს ცოლის, ელიკოს გარდა ორი რუსი საყვარელი ჰყოლია და ლეღვას ქალმა ეს იცოდა. სწორედ ამიტომ მისწერა ასეთი მწარე პასუხი.

გუდამაყარში დიდად აფასებდნენ კაცის პატიოსნებას, სიალალეს, მშობლებისადმი პატივისცემას. სამარცხვინო საქციელს კი მაშინვე გამოალექსებდნენ ხოლმე, ამ

გალექსებებში კარგად ჩანს, როგორი მორალური კოდექსი ჰქონდათ გუდამაყრელებს, როგორი საქციელი იყო მათთვის მიუღებელი.

„ვრიშას დაეშალა სახლი, 87 წელში. დიდი თოვლი იყო ძალიან, უკიბოდ ავდიოდით ზეით სახლებში. რაც სუსტი სახლები იყო, სულ ძირს დასცა. მემრე ახლა იმაზე გამაალექსა შარვანიანთ გიორგიმ, მოვიდა მამამისი (ვრიშასი) და კუთხეში რამ მოღობა.

„მამა გიშენებს სახლებსაო,

გამსის გიდგამს დარბაზებსაო,

გზის პირისაკე უყენებს

ტუმბუჩკებს და დარაბებსაო.

პარიზიდან მოყვანილი

ინჟინერი განაგებსაო

პროექტს მამაშენი ადგენს

როგორ ჩასხამს კართვანჯრებსაო.

თურმე ვრიშაის მამა იმასთან არა სცხოვრობდა. ჭართალში იყო ქალსიძესთან და კიდევ გამაულექსა გიორგიმ.

მამა ჭართალში გიგდიაო

მშიერი მშივრებთანაო.

აიღებს მათხოვრის ჯოხსა

დადის კარი-კარაო.

სოფელი აჭმევს სამადლოდ,

ჩაუსხამს ძაღლებთანაო.

კაცობა მაშინ გეთქმოდა

პურს სჭამდეს სწორებთანაო

ეგ შენი საწყალი მამა

შენთან რომ წაგეყვანაო,

გეჭმივა წიწაკის მწნილი

ქონდარაი და კამაო.

მაგრამ ვერა ჰვრძნობ სირცხვილსა

შორსა ხარ ნამუსთანაო.

მთქმელი: ემზარ ჩოხელი, 48 წლის.

ჩამწერი: თამარ ფიცხელაური. ჩოხი, 2018 წ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის რელიგიური დოქტრინა ათეიზმი იყო, ხალხს მაინც სჯეროდა საკუთარი ხატებისა და სალოცავებისა. მეტიც, ადამიანთა სასწაულებრივად გადარჩენას სწორედ მათ მიაწერდნენ ხოლმე. პაპაჩემი, დედის მამა, შიო აფციაური ღრმა მოხუცებულობამდე მსახურობდა დეკანოზად. იგი მაშინ გარდაიცვალა, როცა მე 3 წლისა ვიყავი, მიუხედავად ამისა, დედაჩემის, მისი ძმისა და მეზობლებისგან ბევრი რამ მსმენია მასზე. როგორც ამბობენ, საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარდა, თუმცა ყველამ იცოდა მისი სასწაულებრივად გადარჩენის ამბავი მეორე მსოფლიო ომში.

შიო აფციაური 18 წლისა წაუყვანიათ ჯარში, მალევე კი მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო და სულ ახალგაზრდა, წინა ხაზზე აღმოჩნდა. მისი მთელი ბატალიონი ყუმბარებმა იმსხვერპლეს, თავად კი, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, იმ ადგილს წუთებით ადრე გაერიდა. მიუხედავად ამისა, იგი ბევრჯერ დაიჭრა და თირკმელიც კი დაკარგა. როგორც მეზობლები ამბობენ, ხატს არ უნდოდა მისი სიკვდილი და ამიტომ ყველგან იფარავდა.

ხატის მფარველობას მიაწერდნენ მის გადარჩენას ომშიც. უკან დაბრუნებული სიზმრებს ხედავდა, ხატი ეცხადებოდა და დეკანოზად დადგომას უბრძანებდა. მან მოხუცებულობაშიღა გაბედა დეკანოზად დადგომა და ყველა დიდი სიყვარულით იხსენებდა, როგორც „ნამდვილ ხატის კაცს“.

გუდამაყრელი იყო პართენ აფციაურიც, მცხეთის არქიმანდრიტი, რომლის სახელსაც არაერთი სასწაული უკავშირდება, თუმცა ერთი გამორჩეულია.

„მშობლებისათვის ღმერთს მისი თავი სასწაულებრივად უჩუქნია: უშვილობით შეწუხებულ მამამისს, ალექსის გულმხურვალე ლოცვის შემდეგ ღვთისთვის აღუთქვამს, - ოღონდ შვილის ღირსი გამხადე და ისევ შენ შემოგწირავო. მალე მართლაც შესძენია ვაჟი, რომლისთვისაც ივანე (ნათლობის სახელად კი იოანე) დაურქმევიათ. სამ წელიწადში ბავშვი უეცრად ავად გამხდარა და გარდაცვლილა...

მთელი სოფელი იწვოდა აფციაურების საცოდაობით. ხალხი ლოცვად დამდგარა, მაგრამ რაღას უშველიდნენ სამი დღის მიცვალებულს. ამ ტირილსა და ვაებაში სახლში ვინმე უსინათლო ბერი შესულა და გამწარებული მამისთვის უთქვამს:

- ალექსი, შვილო, ხომ არ დაგავიწყდა, რომ შვილი ბერად შესწირე ღმერთსო?

- განა კი მოვატყუებდი, მაგრამ ახლა რაღა ვქნა, მკვდარი როგორღა გავაცოცხლო? - შეუტირია ალექსის.

- შენც ადექი და აღთქმა დადე, რომ თუ ყრმა გაცოცხლდა, მართლაც უფლის მსახურად გაზრდი და ამის ნიშნად, მთიულთა წესით, დედაბოძზე ნიშანი დასვიო.

ამდგარა ალექსი, მკვდარი შვილი ხელში აუყვანია და როგორც კი ხანჯლით დედაბოძზე ჭდე დაუსვამს, მიცვალებულსაც მყისვე თვალი გაუხელია... სიხარულით შეძრულ მამას კი ბოძზე მაშინვე მეორე ჭდე ამოუკვეთავს...

ეს ამბავი გუდამაყრის ერთ პატარა სოფელ დუმაცხოში 1907 წელს მომხდარა (არქიმანდრიტი პართენ აფციაური 1905 წელს დაბადებულა)“.

[კარიბჭე 2007:1]

გუდამაყრის ხეობაში მრავალი შესანიშნავი ადამიანი აღიზარდა. მათ შორის, ყველასთვის საყვარელი გოდერძი ჩოხელიც. მის ნაწარმოებებში აღწერილი ადამიანები: ვაჟი გოგი, ჯღუნა, ბერი, კოტორიანთ ქალი, შავი ნინა და მრავალი სხვა აბსოლუტურად რეალური ადამიანები გახლდნენ. მათ შესახებ მრავალი საინტერესო მოგონების მოპოვებაა შესაძლებელი, რადგან გუდამაყრელებს კარგად ახსოვთ ისინი. ერთ-ერთ მოგონებაში გოდერძი წერს:

„ბებიაჩემი იყო კოტორაანთ ქალი. მაზლი ჰყავდა დაკარგული. მაზლს ზედმეტ სახელად ბართის ეძახდნენ. ბართი მოულოდნელად დაბრუნდა. მოჯამაგირედ ყოფილა და თავისი ჯამაგირით ორი ვირი მოიყვანა. ერთი კოლექტივმა წაართვა, მეორე მგელმა შეუჭამა. კოტორაანთ ქალს ახლობელი გარდაეცვალა. მისულა და დაუტირნია:

ეგრე უთხროდე მამამთილსა,

ჩოხში დადგინდა კოლექტივი,

აღარ ინახვენ ობოლ ქვრივსა,

ის ჩვენი ბართიც ჩამოვიდა,

ორი ვირაი მოიყვანა,

ერთაი მგელმა შეგვიჭამა,

მეორე კოლექტივმა წაიყვანა...

ასე დაახასიათა კოლექტივისა და მგლების საქციელი...“

[კვირის პალიტრა, გოდერძაულები 2004:16]

გუდამაყრის ხეობაში სულ უფრო ცოტა ადამიანი რჩება. იცლება ეს ულამაზესი ხეობა და უამრავი საინტერესო გადმოცემა და ამბავიც იკარგება. თითზე ჩამოსათვლელები რჩებიან ის ადამიანები, რომლებისგანაც შეიძლება ძველი ამბების

მოსმენა. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო მათ: ემზარ ჩოხელს, ენვერ, ზურაბ და ივანე აფციაურებს, ქეთევან ჩოხელს, ეთერ წიკლაურს. მათ გარეშე ჩემი ნაშრომი დასრულებულ სახეს ვერ მიიღებდა. აგრეთვე, განსაკუთრებული მადლობა აწ უკვე გარდაცვლილ თამაზ აფციაურს, რომელმაც პირველმა მირჩია, დავინტერესებულიყავი ძველი გადმოცემებით და მითითებებიც მომცა, თუ ვისგან შეიძლებოდა მათი ჩაწერა. ჩემი ნაშრომი მხოლოდ დასაწყისია და მცდელობაა ამ ზღვა მასალის გარკვეული თვალსაზრისით კლასიფიკაციისა. ვიმედოვნებ, მომავალში შევძლებ გუდამაყრის ხეობის მითოლოგიური გადმოცემების სრულყოფილ გამოკვლევას.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ერთ-ერთი ხეობის - გუდამაყრის ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობა. გუდამაყრის ხეობა უნიკალურია თავისი ფოლკლორული გადმოცემებითა თუ ტრადიციებით, ენათესავება მთიულეთსაც და ხევსურეთსაც, თუმცა, მნიშვნელოვნად განსხვავდება ორივე მათგანისგან. მხოლოდ ამ ხეობაში ვხვდებით „,,,უყმო ყმის“ ინსტიტუტს, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისთვის დამახასიათებელი არაა.

გუდამაყრის თავისებურებას განაპირობებს ის, რომ გარდა ქართველებისა, ამ ხეობაში გადმოსახლებულნი არიან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებიც. მათი სრული ასიმილაციისა და მრავალი წლის თანაცხოვრების შედეგად ტრადიციები, წარმოდგენები, მსოფლმხედველობა შეერწყა ერთმანეთს და სწორედ კულტურათა სინთეზი ქმნის იმ ჭრელ ფოლკლორულ ქსოვილს, რომელიც ამ არეალშია წარმოდგენილი.

სამწუხაროდ, ფოლკლორისტიკა, როგორც მეცნიერება, საკმაოდ გვიან, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. ასე რომ ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ ამ პერიოდის და მისი შემდეგი ჩანაწერები. უამრავი გადმოცემა, ლექსი, ანდაზა დაკარგულია. მიუხედავად იმისა, რომ ხეობა პრაქტიკულად დაცლილია, მაინც მოვახერხე ახალი გადმოცემების მოპოვება. ამისთვის მომიწია თბილისში ჩამოსახლებულ გუდამაყრელთა სათითაოდ მონახულება. ჩემს ნაშრომში წარმოდგენილი ორი ტექსტი (თხორჩალეს ქალი სალია და გადმოცემა იამზე აფციაურზე), სრული სახით არ გვხვდება არც ფოლკლორის არქივსა და არც წიგნებში. მათ, როგორც მთქმელმა მითხრა, განზრახ არ უყვებოდნენ არავის, რადგან სალიას შესახებ გადმოცემა სირცხვილად მიაჩნდათ, ხოლო მეორე ტექსტში ნახსენები მტრობა დღევანდელ დღემდეც კი გრძელდება.

სწორედ იმისთვის, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, ჩვენი ხალხური სიბრძნე არ დაიკარგოს, საჭიროა, რომ სათანადო ყურადღება დავუთმოთ მის შესწავლას. მართალია, გუდამაყარი პატარა ხეობაა, თუმცა იგი მდიდარია მითოლოგიური გადმოცემებით. გუდამაყრული მითოლოგიური გადმოცემების ჟანრული მრავალფეროვნება და სიჭრელე განსაცვიფრებელია. იგი მოიცავს როგორც საკულტო და მითოლოგიურ ტექსტებს (გადმოცემებს ხატების, გვარებისა და სოფლების დაარსების შესახებ, გაბუდაყებული და დასჯილი ადამიანების შესახებ, დემონოლოგიურ გადმოცემებს) არამედ საყოფაცხოვრებო გადმოცემებსაც: საოჯახო ტრადიციებს, რიტუალებს, ანდაზებს, გამოცანებს, გალექსებებს და მრავალ სხვა სახეობას. სამაგისტრო ნაშრომში ფიზიკურად შეუძლებელი იყო იმ მასალის სრულად ჩატევა, რომელიც მე მოვიპოვე, თუმცა, ნაშრომს ზოგადი წარმოდგენის შექმნა მაინც შეუძლია. ცალკე აღვნიშნავ, რომ სადიდებლები მითოლოგიურ გადმოცემებს არ მიეკუთვნება, თუმცა მათში ჯვარ-ხატები შემკულნი არიან საკრალური ნიშნებით, ეპითეტებითა და სხვადასხვა სახელწოდებებით. ამ ეპითეტებს გარკვეული საფუძველი აქვს, საკუთარი ისტორია გააჩნიათ და მათ წარმომავლობაზე გადმოცემები შემონახულია ხალხის ცნობიერებაში. ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ მათი განხილვაც. ისინი ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ტექსტებთან, თუმცა განსხვავდებიან იმით, რომ გუდამაყრულ სარიტუალო ტექსტებში არ გვხვდება კურთხევანი.

ელენე ვირსალაძე წერს, რომ ახალგაზრდობა გუდამაყარში მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა ანდაზებს, ზღაპრებსა და გამოცანებს. მეტიც, მათი მოყოლა სირცხვილადაც კი მიაჩნდათ. როგორც ჩანს, სხვადასხვა წლოვანების ადამიანებს მათი ასაკისთვის შესაფერისი რეპერტუარი უნდა ჰქონოდათ: უფროსებს - მითოლოგიური გადმოცემები, ამბები ხატებისა და სალოცავების შესახებ, ახალგაზრდებს - ისტორიული გადმოცემები, ხოლო ბავშვებს - ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და გამოცანები. დღესაც იგივე სიტუაციაა. ძველი გადმოცემები მხოლოდ უფროსებმა იციან, ისიც ის, რაც ბავშვობაში მოუსმენიათ და დამახსოვრებიათ, ხოლო ახალგაზრდებმა - შედარებით ნაკლები. ამიტომაც მნიშვნელოვანია ამ ამბების ჩაწერა და შეგროვება. ჩემი ნაშრომიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ანდრეზები 2009 - ზ. კიკნაძე. ანდრეზები (მითოლოგიურ-რელიგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში), ილიაუნის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
2. ანთოლოგია 2010 - ზურაბ კიკნაძე, ტრისტან მახაური. ხალხური პოეზიის ანთოლოგია. გამომცემლობა „მემკვიდრეობა“. თბილისი, 2010.
3. ვახუშტი 1973 - ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1973.

4. ვირსალაძე 1958 - ე. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება: მთიულეთ-გუდამაყარი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1958.
5. თსუფა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი.
6. კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები 2017 - ნუგზარ ანთელავა. კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2017
7. კიკნაძე 2008 - ზურაბ კიკნაძე. ქართული ფოლკლორი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2008.
8. კიკნაძე 2009 - ზურაბ კიკნაძე. ქართული მითოლოგია 2: ფარნავაზის სიზმარი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2016.
9. მთიულეთი 1930 - სერგი მაკალათია. მთიულეთი. გამომცემლობა „სახელგამი“. თბილისი, 1930.
10. რელიგიები საქართველოში 2008 - საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი. თბილისი, 2008.
11. სადიდებლები 1998 - ჯვარ-ხატთა სადიდებლები. ტექსტი შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ზურაბ კიკნაძემ, ხვთისო მამისიმედიშვილმა და ტრისტან მახაურმა. ფოლკლორისტიკის კათედრის შრომები. თბილისი, 1998.
12. საკრალური ისტორიები 2017 - ხვთისო მამისიმედიშვილი. საკრალური ისტორიები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2017.
13. ქართული ხალხური პოეზია 1992 - ტრისტან მახაური, ზურაბ კიკნაძე. თსუ გამომცემლობა. თბილისი, 1992.
14. ღამბაშიძე, ელერდაშვილი 2018 - ნინო ღამბაშიძე, ქეთევან ელერდაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2018
15. ჯვარი და საყმო 1996 - ზურაბ კიკნაძე. ქართული მითოლოგია 1: ჯვარი და საყმო. ქუთაისი, 1996.

ელექტრონული რესურსები:

1. ბექაურის ბლოგი - http://bekauri.blogspot.com/2017/03/5.html
2. კარიბჭე - http://karibche.ambebi.ge/eklesia/mamatha-ckhovreba/1942-qra-vqna-mama-yvelaze-metad-ghmerthi-miyvarsq.html?start=5
3. კვირის პალიტრა - http://www.dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/16551/1/KvirisPalitra_2004_N20.pdf

მთქმელთა სია

1. *ივანე აფციაური, 84 წლის.*
2. ემზარ ჩოხელი, 49 წლის.
3. ზურაბ აფციაური, 60 წლის.
4. ნაზიკო აფციაური, 58 წლის.
5. ეთერი წიკლაური, 55 წლის.
6. ქეთევან ჩოხელი, 57 წლის.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master's programme: Georgian literature

Tamar pitskhelauri

Mythology of Gudamakari Gorge

The work is represented for the degree of MA of Georgian literature

Supervisor:

Khvtiso Mamisimedishvili,

Doctor of philology, TSU Associated Professor

Tbilisi

2019